



სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

**დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი,  
ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების  
ტრანსფორმაცია**

(საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზი)

2011 წლის ივლისი-სექტემბერი

## სარჩევი

შესავალი, საერთო დასკვნები და რეკომენდაციები.....	4
საერთო დასკვნები.....	5
საერთო რეკომენდაციები .....	6
თავი 1. დემოკრატიზაციის პროცესი: კულტურა და ღირებულებები.....	9
შესავალი.....	9
მხარდამჭერი პოზიცია .....	14
კრიტიკული პოზიცია .....	15
დემოკრატიის სოციალური ინდიკატორები.....	16
სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო ღირებულებები საქართველოში .....	18
რეკომენდაციები .....	22
თავი 2: რეგიონული კონტექსტი: გამონწვევები და შესაძლებლობები .....	25
შესავალი.....	25
1991-2008 წლების ზოგადი სიტუაციური ანალიზი .....	26
არსებული საშინაო ვითარება .....	28
ამჟამინდელი ვითარება - რეგიონული ფაქტორები .....	32
დასკვნები და რეკომენდაციები .....	35
თავი 3. მონყვლადი ჯგუფები: ეროვნული უმცირესობები.....	37
ეროვნული უმცირესობები საქართველოში - ზოგადი მიმოხილვა.....	37
ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობა და წარმომადგენლობა .....	41
ეროვნული უმცირესობები საქართველოს პარლამენტში .....	42
ეროვნული უმცირესობები ადგილობრივ საკრებულოებში.....	44
ეროვნულ უმცირესობათა თემების მარგინალიზაცია.....	45
ეროვნულ უმცირესობათა განათლების სფეროში არსებული საჭიროებები.....	46

ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში არსებული საჭიროებები .....	47
დასკვნები და რეკომენდაციები .....	48
თავი 4. ნდობის აღდგენა და კონფლიქტის ტრანსფორმაცია .....	54
შესავალი.....	54
რუსეთის როლი და პოზიცია.....	56
აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი .....	58
საერთაშორისო კონტექსტი .....	59
ნდობის აღდგენა კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნით .....	61
რეკომენდაციები .....	65

## შესავალი, საერთო დასკვნები და რეკომენდაციები

2011 წლის ივლისი-სექტემბრის თვეებში “სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“ (სკაი) განახორციელა სამთვიანი საპილოტე პროექტი, რომლის მიზანი იყო კონფლიქტების პრევენციაზე, მშვიდობა და განვითარების პროცესებზე მომუშავე ადგილობრივი ექსპერტებისა და ორგანიზაციებისთვის ხელის შეწყობა და ამ პროცესებში ფართო საზოგადოების ჩართვის მნიშვნელობის წინ წამოწევა. პროექტის საბოლოო მიზანია დახმარება გაუწიოს სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, აკადემიურ წრეებს, პოლიტიკოსებსა და ძირითად საერთაშორისო აქტორებს მათ შორის კონსტრუქციული, მდგრადი და სისტემური ურთიერთობისთვის საჭირო სტრუქტურული ჩარჩოს შექმნაში. ეს შესაძლებელია ეროვნული მნიშვნელობის საკითხების ირგვლივ დიალოგის გამართვის გზით, რამაც ხელისუფლების მიერ საექსპერტო ანალიზზე დაფუძნებული, კონკრეტული ქმედებების განხორციელებამდე უნდა მიგვიყვანოს.

ამ პროექტის ფარგლებში თანამშრომლობდა ოთხი ქართველი ექსპერტი: მამუკა არეშიძე, გია ვოლსკი, იავო კაჭკაჭიშვილი და გიორგი სორდია. თითოეულმა ექსპერტმა ჩამოაყალიბა ოთხი თემატური ჯგუფი, რომელთაგან თითოეულმა გააანალიზა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ერთი თემა. გასაანალიზებლად შემდეგი თემები შეირჩა: დემოკრატიზაცია და ფასეულობები, ეროვნული უმცირესობები, ნდობის აღდგენა და კონფლიქტების ტრანსფორმაცია და რევიონული კონტექსტი, რომელშიც საქართველოს გამოწვევებთან გამკლავება უწევს. თემები შეირჩა მათი შედარებით ზოგადი ხასიათის გამო. ოთხივე კვლევაში ცხადად გამოიკვეთა შემდგომი კვლევებისა და ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე დიალოგის საჭიროება, მათ შორის საარჩევნო სისტემასა და კანონმდებლობაზე, ქართული მედიის როლსა და ეფექტურობაზე და საშინაო პოლიტიკაში პლურალიზმის თაობაზე.

თემატურ ჯგუფებში მუშაობისას ექსპერტები თანამშრომლობდნენ პარალელურად მიმდინარე პროცესის მონაწილეებთან, რომელიც ხორციელდება პროგრამა „ერთად დავგეგმოთ მშვიდობის“ ფარგლებში. ეს პროგრამა შეიქმნა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტისა“ და ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო მსოფლიოს“ მიერ. ამ პარალელური ინიციატივის მიზანია კონფლიქტების, უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებზე ფართო დისკუსიებისთვის ხელის შეწყობა საქართველოს ოთხი რეგიონის ადგილობრივ თემებში. ზოგიერთ ამ შეხვედრაში მონაწილეობამ ჩვენს ექსპერტებს საშუალება მისცა კვლევებში ჩაერთოთ ადგილობრივი თემებისა და რეგიონებში მომუშავე

ექსპერტების თვალსაზრისებიც. საერთო ჯამში მშვიდობისა და განვითარების პროექტის ექსპერტებმა ჩაატარეს 150 შეხვედრა (მათ შორის შეხვედრები თემატურ ჯგუფებთან, ჩალრმავებული ინტერვიუები, დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებში, სამუშაო ჯგუფებში და სხვა), 20-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში (მათ შორის ახალციხეში, ბათუმში, გორში, ზუგდიდში, თბილისში, თელავში, კვარიათში, მარნეულში, ოზურგეთში, რუსთავში, ქობულეთში, ქუთაისსა და ხურჩაში) და შეხვედრენ 1000-ზე მეტ მონაწილეს (მათ შორის აკადემიური წრეებიდან, ადგილობრივი თემების წევრებს, ექს-კომბატანტებს, ექსპერტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, უურნალისტებს, მედია მენეჯერებს, ადვოკატებს, უმცირესობათა წარმომადგენლებს, რელიგიური წრეების წარმომადგენლებს, პარლამენტის წევრებსა და ქალთა საინიციატივო ჯგუფებს).

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევა არ არის ამომწურავი და არ მოიცავს არც საქართველოს ყველა რეგიონს და არც მოსახლეობის ყველა ფენას, მასში ასახულია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვანი შეხედულებები და ასევე გადმოცემულია პარლამენტის და სამთავრობო უწყებების ზოგიერთი წევრის აზრიც. კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნები, ექსპერტებისა და დისკუსიების მონაწილეთა მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები შეიძლება საფუძვლად დაედოს სამომავლო დიალოგს, კვლევებსა და სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა და ხელისუფლების ერთობლივ ქმედებებს. ქვემოთ მოყვანილი საერთო დასკვნები და რეკომენდაციები ზოგადად ასახავს ოთხივე კვლევის შედეგებს, თუმცა თითოეული კვლევა შეიცავს მოცემულ თემასთან დაკავშირებულ დეტალურ რეკომენდაციებს.

### **საერთო დასკვნები**

- საქართველოს საზოგადოება პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ღრმად პოლარიზებულია, რაც ძირითად გამოწვეულია გადანწყვეტილების მიღების პროცესებისა და პოლიტიკის ფორმირების ნაკლები გამჭვირვალობითა და მათში საზოგადოების ჩაურთველობით.
- მოსახლეობის ფართო ფენები არ არიან კარგად ინფორმირებულნი მთავრობის მრავალი გადანწყვეტილებისა და ქმედების თაობაზე, ამ ქმედებების მიზნებისა და არისის შესახებ.
- არ მიმდინარეობს ღია დიალოგი ეროვნული თუ რეგიონული მნიშვნელობის თემებზე მედიაში წარმოებული საჯარო დისკუსიებისა და დებატების გზით.

- მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არ არის სრულად ინტეგრირებული ან ნაკლებად არის წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ეს აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, განსაკუთრებით კონფლიქტის ზონებში, და სერიოზულად აისახება ეროვნული კონსოლიდაციისა და სამშვიდობო პროცესებზე.

### საერთო რეკომენდაციები

კვლევის შედეგებსა და დისკუსიების მონაწილეების წინადადებებზე დაყრდნობით, აღვნიშნავთ, რომ საჭიროა სამოქალაქო კონსოლიდაცია ეროვნული მნიშვნელობის საკითხების განხილვის პროცესების წამოწყებით, რაც უნდა ხდებოდეს მთავრობის ხელმძღვანელობითა და ფართო საზოგადოების მონაწილეობით. ქვემოთ მოყვანილმა ზოგადმა რეკომენდაციებმა, რომლებიც საერთოა ოთხივე კვლევისათვის, შესაძლოა გზამკვლევის როლი შეასრულოს სამომავლო საქმიანობების დაგეგმვაში:

- სამოქალაქო საზოგადოებამ უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე საერთო კონსენსუსის ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობის განმტკიცებაში. ამ მიზნით უნდა შეიქმნას **სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმა**. ასეთი ყოვლისმომცველი ფორუმი სამოქალაქო საზოგადოების ყველა მოთამაშისთვის შექმნიდა ღია პროცესს და ხელისუფლებასა და ფართო საზოგადოებას შორის ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებებს. ქვემოთ ჩამოთვლილი ზომების ან მათი ნაწილის მიღება უზრუნველყოფდა ამ პლატფორმის მიერ ქვეყანაში არსებული სოციალური კაპიტალის სრულად გამოყენებას და გააძლიერებდა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესებს:
  - შესაბამისი სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების ეგიდით მუშაობის წარმართვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე თემატურ სამუშაო ჯგუფებში, რომლებშიც შევლენ შესაბამისი სფეროების ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, იმ მიზნით, რომ მთავრობას დახმარება გაუწიონ პოლიტიკის ჩამოყალიბებაში;
  - მრჩეველთა საბჭოს შექმნა რაიმე ფორმით, რომელიც კონსულტირებას გაუწევს პარლამენტს და/ან მთავრობას. როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტები იმუშავებდნენ და კონსულტაციებს გაუწევდნენ ხელისუფლების

წარმომადგენლებს პოლიტიკის ფორმირების პროცესში წამოჭრილ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

- ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა უნდა იპოვონ გარკვეული ინიციატივების ერთობლივად შექმნისა და განხორციელების გზები. მაგალითად, შესაძლებელია ფართო საგანმანათლებლო კამპანიის წარმოება რელიგიური ჯგუფების იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსში შესულ ცვლილებებზე ევროპის საბჭოს წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების კონტექსტში. ეს მოსახლეობის თვალში მეტ ნათელს მოჰყვება საკითხს და მის დემოკრატიულ პრინციპებს და საფუძველს გამოცლიდა ამგვარი კანონების ზემოქმედების უარყოფითად აღქმას. ამავე დროს, ხელისუფლება შეძლებდა სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის მოზიდვას ისეთ პროცესებში, სადაც შესაძლებელია გარკვეული საკითხების ან ფუნქციების დეცენტრალიზაცია შესამაბისი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვით. ასეთი სპეციფიური სფეროები შეიძლება იყოს: ბუნების დაცვა, სპეციალიზირებული სამედიცინო ან სოციალური მომსახურება, სამოქალაქო განათლება, ეკონომიკური განვითარება და ასე შემდეგ. ამგვარი მიდგომა გააძლიერებდა სამოქალაქო საზოგადოებას, ხოლო ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს დამატებით თვირთს შეუმსუბუქებდა.
- მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებას სჭირდება მეტი ხელმისაწვდომობა მთავრობის საქმიანობაზე. ხელისუფლებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან მოქალაქეთა ინფორმირებისა და მათი მოსაზრებების ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანის მიზნით ეროვნული მნიშვნელობის საკითხების ირგვლივ სატელევიზიო დისკუსიების მონაცობით. მაგალითად, ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა საკონსტიტუციო ცვლილებები, დამატებები საარჩევნო კოდექსში, მედიის მფლობელობის გამჭვირვალობა და სასამართლო რეფორმა, შესაძლებელია მედიისა და სხვა საჯარო ღონისძიებების გზით, მათ შორის სატრენდინგო დებატების საშუალებით. საარჩევნო პერიოდის მოახლოებასთან ერთად საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ადგილობრივ (რეგიონულ) მაუწყებლებს შეუძლიათ ითანამშრომონ უმნიშვნელოვანესი როლი საჯარო დისკუსიებისთვის სივრცის შექმნით და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით.

- სამოქალაქო საზოგადოების წევრებმა, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის, სამოქალაქო განვითარებისა და კონფლიქტების პრევენციისა და ტრანსფორმაციის სფეროებში მომუშავე ექსპერტებმა, უნდა შეიმუშაონ პროექტები, რომლებიც გამიზნული იქნება დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფების (ისეთების, როგორცაა ეროვნული უმცირესობები, იძულებით გადაადგილებული პირები და კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა) ცნობიერების ამაღლებასა და მათი უფლებების შესახებ ინფორმირებაზე, რათა ისინი უფრო აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამავე დროს ხელისუფლებამ უნდა წახალისოს ასეთი ჯგუფების (რე-)ინტეგრაცია დასაქმების, საგანმანათლებლო და სხვა მსგავსი პროგრამებით, რათა მათ შეძლონ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის მიღება.



## თავი 1. დემოკრატიზაციის პროცესი: კულტურა და ღირებულებები იავო კაჭკაჭიშვილი

აღნიშნული ნაშრომში განხილულია დემოკრატიის მდგომარეობა საქართველოს პოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც გაჯერებულია ტრადიციული ქართული კულტურული ღირებულებებით. როგორც *რემიუმშია* აღნიშნული, აღნიშნული ნაშრომი ფართო კონსულტაციების პროდუქტია, რომელშიც ასახული და ინკორპორირებულია ქართული საზოგადოების სხვადასხვა სექტორებში ფართოდ გავრცელებული შეხედულებები. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი არ არის ყოვლისმომცველი და ამომწურავი, იგი ასახავს ბევრი განსხვავებული მონაწილის შეხედულებებს, რაც შემდგომი დიალოგის, შესწავლისა და ერთობლივი ქმედებების განხორციელების წინაპირობა უნდა გახდეს.

### **შესავალი**

ქართული დემოკრატიის კურსის შესწავლისათვის, უნდა განვსაზღვროთ თუ რა საზომი გამოიყენება პროგრესის შესაფასებლად. დემოკრატიზაციის მასტიმულირებელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული/სამოქალაქო. თითოეული მათგანი შეიცავს სპეციფიკურ ინდიკატორებს, რომელთა საფუძველზე შეიძლება გაიზომოს საზოგადოების დემოკრატიულობის მდგომარეობა:

**პოლიტიკური ფაქტორები** გულისხმობს ხელისუფლების სამ შტოდ დაყოფას და კონტროლისა და ბალანსის სისტემების არსებობას; კანონის წინაშე თანასწორობას და პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების კანონში ასახვას; თავისუფალი და სამართლიანი არჩევების ჩატარებას; მრავალი პოლიტიკური პარტიის ნამდვილ კონკურენტუნარიან ბრძოლას; და საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საყოვეთაოდ აღიარებულია, რომ დემოკრატიზაციის პროცესს წინ უნდა უძღვოდეს ქმედითი აღმასრულებელი ინსტიტუტების შექმნა, მათ შორის ისეთი ინსტიტუტების, რომელთა მეშვეობით მოხდება უსაფრთხოების, ეკონომიკური წესრიგის უზრუნველყოფა და საბაზისო სერვისების მიწოდება .

**ეკონომიკური ფაქტორები** მოიცავს ეკონომიკურ სიძლიერეს, რომელიც განამტკიცებს პოლიტიკურ სისტემას. დემოკრატიის პირობებში, ძლიერი ეკონომიკა გულისხმობს მრავალსტრუქტურულ, შერეულ საბაზრო ეკონომიკას, რომელიც სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული, ტოლერანტულია საკუთრების სხვადასხვა ფორმების, მათ შორის, კერძო საკუთრების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ არადემოკრატიულ პოლიტიკურ

სისტემაში შესაძლებელია არსებობდეს სოციალურად ორიენტირებული, მრავალსტრუქტურული, შერეული საბაზრო ეკონომიკა, მმართველობის დემოკრატიული სისტემა შეუძლებელია არსებობდეს ყოველივე ზემოაღნიშნულის გარეშე. თუ პოლიტიკური მნიშვნელობით დემოკრატიის საფუძველი ადამიანთა საბაზისო უფლებებია, ეკონომიკური მნიშვნელობით ამგვარ საფუძველს კერძო საკუთრება წარმოადგენს.

**კულტურული/სამოქალაქო ფაქტორები:** დემოკრატიის საფუძველია თავისუფლება და თანასწორი უფლებები, რაც გულისხმობს, რომ უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს და ხორციელდება პირდაპირ ხალხის ან მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების მიერ. ამგვარ მიდგომას საფუძველი დასავლეთში ჩაეყარა, როდესაც ინტელექტუალებს/მეცნიერებს და კონსერვატიულ სახელმწიფოს და ეკლესიას შორის გაღრმავებულმა უფსკრულმა წარმოშვა სამოქალაქო საზოგადოების პირველი ელემენტები. დღესდღეობით, *სოციალური კაპიტალის გადანაწილება* აღიქმება როგორც დემოკრატიის ძირითადი სამოქალაქო ინდიკატორი. *სოციალური კაპიტალი* აერთიანებს: 1) რესურსებს, რომლებიც ფორმირდება ინტერპერსონალური კავშირების შედეგად სპეციფიკური ქმედებების განხორციელების მიზნით და 2) პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუციების მიმართ ნდობის დონეს. სოციალური კაპიტალის მაღალი დონე იმ საზოგადოებებში შეინიშნება, სადაც მიჩნეულია, რომ ხელისუფლება ხალხის მიერაა დაქირავებული და მართული; მაშინ, როდესაც დაბალი დონის სოციალური კაპიტალი ახასიათებს საზოგადოებებს, სადაც ისინი საკუთარ თავს მიიჩნევენ „ბავშვად“, ხოლო მთავრობას „მშობლად“, რომელიც ვალდებულია შვილზე იზრუნოს.

დემოკრატია ევროპული ფენომენია და სხვა კულტურულ კონტექსტში მისი გამოყენების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთ-ერთი მიმართულების მიხედვით, თუ ქვეყანას სურს გაითავისოს ევროპული გამოცდილება უნდა „ისწავლოს“ დემოკრატია, რომლის საფუძველზეც შექმნის სახელმწიფო მმართველობის საკუთარ სისტემას. მეორე მიმართულების მიხედვით, დემოკრატიის დასწავლა ვერ მოხდება შესაბამისი „კულტურული ონტოლოგიის“ გარეშე მაგ: მუსლიმურ სამყაროში. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ყველა მონაწილე იზიარებდა მოსაზრებას, რომ ქართულ კულტურაში დემოკრატიის განვითარება რთულია, მაგრამ შესაძლებელი - ევოლუციური მიდგომების განხორციელების გზით. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს ყველა იმ ეტაპის გავლას, რაც დასავლურმა დემოკრატიამ გაიარა, ეს კი საკმაოდ დროს მოითხოვს.

### **დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში**

თანამედროვე საქართველოში დემოკრატიზაციის ნიშნები თავდაპირველად საბჭოთა ეპოქის ბოლო დეკადაში – 1980–იან წლებში გამოჩნდა. თუმცა იმ პერიოდისთვის სამოქალაქო აქტივობების მამოძრავებელი ძალა არა დემოკრატიზაცია, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტივობები ეთნიკური ნაციონალიზმით იყო ნასაზრდოები, თავად პროცესი (ანუ *modus operandi*) სამოქალაქო ხასიათს ატარებდა – მოხდა პოლიტიკური პარტიების ფორმირება, საზოგადოების კონსოლიდირება, ტარდებოდა სახალხო დემონსტრაციები – საერთო ჯამში აღნიშნული მოძრაობა დაიწყო „ქვემოდან“. 1990–იანი წლებიდან, საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი ცვლილებებს განიცდიდა. აქედან გამომდინარე, პოსტ–საბჭოთა პერიოდი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: 1) ვარდების რევოლუციამდე (1990–2003) და 2) ვარდების რევოლუციის შემდეგ (2003 წლიდან დღემდე).

პირველი პერიოდი იწყება ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლით (1990–91 წწ.). მეცნიერთა უმრავლესობა აღნიშნულ პროცესს აფასებს არა როგორც დემოკრატიზაციის ლეგიტიმურ პროცესს, არამედ უფრო როგორც ეთნიკური ნაციონალიზმის ტალღას, რომელსაც შედეგად ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა (1991–2003) მოჰყვა. ბევრი მონაწილე აღნიშნავს, რომ შევარდნაძის უფლებამოსილების პერიოდი უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდი, მაგრამ ამ ფაქტს ხსნიან შევარდნაძის მმართველობის სისუსტით და არა იმიტომ, რომ გამიზნულად გატარდა დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელი პოლიტიკა. შევარდნაძის დროს სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენა ძალზე სუსტი იყო. შესაბამისად, სამოქალაქო ერთობებს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე დაფუძნების საშუალება ეძლეოდათ და ხშირად კანონის ფარგლებს სცდებოდნენ. ჩვენ კვლევაში მონაწილე ექსპერტთა უმეტესობა იზიარებდა მოსაზრებას, რომ შევარდნაძემ არ იცოდა, როგორ უნდა ეშენებინა დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ ვინაიდან მან გაითვალისწინა დასავლეთის ინტერესი, ხელი აღარ შეუშალა დემოკრატიული ტენდენციების განვითარებას. ამიტომ, შევარდნაძეს წინააღმდეგობა არ გაუწევია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, სიტყვის თავისუფლებისა და თავისუფალი მედიის განვითარებისთვის. კვლევის მონაწილეებმა გაიზიარეს შეხედულება, რომ შევარდნაძის პერიოდის პოლიტიკური რეჟიმი გარკვეულ ჰიბრიდს წარმოადგენდა – შინაარსით იყო კომუნისტური სახელმწიფო, რომელსაც გააჩნდა დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტები. მაგალითად: მოქალაქეების თავისუფლების პარალელურად, აღნიშნული თავისუფლება ძლიერ იზღუდებოდა


კორუფციისა და არაფორმალური გაერთიანებების მიერ; არჩევნები ტარდებოდა, მაგრამ მისი შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. როგორც იმ პერიოდის სამეცნიერო ნაშრომებშია მითითებული, საქართველო ამ კუთხით არ წარმოადგენდა გამონაკლისს, რადგან პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოთა უმეტესობაში მსგავსი ე.წ. „ჰიბრიდული რეჟიმები“ დამკვიდრდა, რომელიც არც ტოტალიტარულია და არც დემოკრატიული.

თუ, ზოგადად, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით შევაფასებთ, ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული ჰქონდა, 1990–იანი წლების დემოკრატიული გარღვევა სუსტი იყო. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა განიცდიდა ისეთი ინსტიტუციების ნაკლებობას, რომლებიც ხელს შეუწყობდა დემოკრატიულ განვითარებას. მაგალითად: საქართველოს შეიარაღებული ძალები, საგადასახადო სისტემა და პოლიცია ძალზე სუსტი და არაეფექტური იყო, აღნიშნული ძირითადი ინსტიტუციების მიმართ ხალხის ნდობის კოეფიციენტი კი – ძალზე დაბალი. მოსაზრებების თანხვედრა მოხდა იმ მიმართულებით, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუცია წარმოადგენდა დემოკრატიულ გარღვევას, სადაც აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო საზოგადოება და რომელიც გამყარებული იყო მედიისა და სიტყვის თავისუფლებით. ვარდების რევოლუციის ლიდერებმა მიიღეს დასავლეთის დახმარება, ხელი შეუწყვეს დასავლური ღირებულებების შემოტანას საქართველოში. სწორედ ამიტომ გახდა შესაძლებელი 2003 წლის ვარდების რევოლუციის განხორციელება. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ზოგიერთი მონაწილე ვარდების რევოლუციას აღიქვამდა როგორც მმართველი ელიტების შიდა გადაადგილებებს, იმ დეგრადაციის საპასუხოდ, რაც გამონჯეული იყო შევარდნაძის მმართველობის ბოლო რეტროგრადული წლებით.

ვარდების რევოლუციის შესახებ მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და ანალიზი დაიწერა, თუმცა, ძირითად შეკითხვად რჩება: ვარდების რევოლუციიდან 8 წლის შემდეგ რას წარმოადგენს დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში? აღნიშნული საკითხის მიმართ მრავალი მოსაზრება და ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები არსებობს. მაგალითად, The Economic Intelligence Unit–ის 2010 წლის დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, საქართველო მოექცა „ჰიბრიდული რეჟიმების“ კატეგორიაში და 167 ქვეყნიდან დაიკავა 103 ადგილი (საქართველოს მაჩვენებელი იყო 4.59, როდესაც მაქსიმალური მაჩვენებელი შეადგენდა 10-ს). Freedom House–ი საქართველოს ხასიათებს, როგორც ნაწილობრივ თავისუფალს. თუმცა, საქართველოს უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდა ისეთ საერთაშორისო ინდექსებთან მმიმართებაში როგორიცაა ბიზნესის კეთება, მნიშვნელოვანი რეფორმების ხელშეწყობა და კორუფციასთან ბრძოლა.

ამგვარი არამყარ და წინააღმდეგობრივი მონაცემების არსებობს გამო, საქართველოს შეფასებისას ხშირია ბინარული დახასიათების ტენდენცია: მოდერნიზაცია – დემოკრატიზაციის საპირისპიროდ. მართლაც, საქართველოს ხელისუფლებამ უნებურად აღიარა ეს პარადოქსი, თუნდაც მაშინ, როდესაც საქართველოს განვითარების მოდელად სინგაპური დასახა. აქ გასათვალისწინებელია საქართველოს მოქალაქეების აზრი. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვების თანახმად, იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოში არ არის დემოკრატია, მეტია იმ რესპონდენტთა რაოდენობაზე, რომლებიც ადასტურებენ დემოკრატიის არსებობას საქართველოში, თუმცა, ამ ორ ჯგუფს შორის რაოდენობრივი განსხვავება კვლავ მცირეა. (იხ. დიაგრამა 1). საერთო ჯამში, ჩვენს კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ასევე ასახავენ მსგავს დიხოტომიას, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

დიაგრამა 1



წყარო: NDI და CRRC

## მხარდამჭერი პოზიცია

კვლევაში ჩართულმა იმ ექსპერტებმა, ვინც თვლიდნენ, რომ საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი მძლავრად ვითარდება, მიუთითეს შემდეგი:

- ✓ ხელისუფლება იყოფა სამ განშტოებად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო), რომელთა კომპეტენციებიც კონსტიტუციითა განსაზღვრული და გამყარებულია კონტროლისა და დაბალანსების სისტემებით;
- ✓ სახელმწიფო ინსტიტუტები მდგრადი და მყარია; ისინი კომპეტენტურად ასრულებენ საკუთარ ფუნქციებს და არ ხდება პსუხისმგებლობათა აღრევა, რაც გამორიცხავს ქაოსის წარმოქმნას სახელმწიფო მმართველობის განხორციელებისას;
- ✓ ქვეყანაში დაძლეულია ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმი. მიღებულია შესაბამისი კანონმდებლობა, რომელის მიხედვითაც მკვიდრდება კანონის წინაშე თანასწორობა. მაგალითად, სხვადასხვა რელიგიური კონფესიების იურიდიული სტატუსის მინიჭება;
- ✓ ყველა მოქალაქეს მინიჭებული აქვს თანაბარი კონსტიტუციური უფლებები (გამოხატვის უფლება, ხმის უფლება, სინდისის თავისუფლება).

აღნიშული ჯგუფის წევრთა აზრით, დემოკრატიის განვითარებასთან მიმართებაში ამჟამინდელი მთავრობის ყველაზე ძირითადი ნაკლია საზოგადოებრივ აზრზე არასაკმარისი რეაგირება. თუმცა, მონაწილეები პირველ ადგილზე სვამენ იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხს, ვინც მთავრობის მხრიდან ანგარიშვალდებულებას არ მოითხოვს. ზოგადად, მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოებამ არ იცის როგორ უნდა ესაუბროს მთავრობას; იგი განიცდის სამოქალაქო აქტივობებისა და ორგანიზაციების ნაკლებობას და შედეგად, ვერ ახდენს შესაბამის გავლენას ხელისუფლებაზე საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების არასაკმარისი გაცნობიერების გამო. ზოგიერთი მონაწილე, რომელიც იზიარებს ამგვარ შეხედულებას, მიიჩნევს, რომ ქართველმა ხალხმა ჯერჯერობით ვერ მოახდინა დემოკრატიული მმართველობის კულტივირება, რაც 2003 წლამდე გამოწვეული იყო ამგვარი შესაძლებლობების ნაკლებობით. ამას გარდა, საქართველოს ხელმძღვანელ პირებს არ გააჩნიათ სახელმწიფო მართვის და არა მხოლოდ ქვეყნის მართვისგან გამოცდილება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოებაც და მმართველი პარტიაც განიცდიან დემოკრატიული გამოცდილების და კომპეტენციის ნაკლებობას. მონაწილეებმა დაასკვნეს, რომ ვარდების რევოლუციის შემდგომ, საზოგადოებრივ მათვაში ჩართულმა მოხელეებმა სწრაფად დაიწყეს პრაქტიკისა და გამოცდილების

განვითარება. ერთ–ერთ მაგალითად ერთი სამინისტროდან მეორეში კადრების გადაადგილების მაღალი კოეფიციენტი დასახელდა. აღნიშნული მაგალითი (სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სფეროებში კადრების წარმოჩენის გზით) იძლევა დემოკრატიული სახელმწიფოს ინსტიტუტების მუშაობის შესახებ წარმოდგენის განვითარების საშუალებას.

### **კრიტიკული პოზიცია**

ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოში ხელისუფლების კრიტიკისა და დემოკრატიული განვითარების დონე გახდა მმართველი სტრუქტურების ავტოკრატიულობის, მეტიც – ოლიგარქიულად ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორი. ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს „სხეული“ სახელმწიფო ინსტიტუტების სახით ჩამოყალიბდა, პრობლემად რჩება ის, თუ როგორ აღიქვამენ საკუთარ თავს სახელმწიფო სტრუქტურები. ამ თვალსაზრისით, ისინი საკუთარ თავს უფრო მეტად აღიქვამენ როგორც ყოვლისმცოდნე ხელისუფლებას, ვიდრე პასუხისმგებლობის მქონე საჯარო მოხელეების ერთობლიობას, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი მოქალაქეების მიმართ. ხელისუფლების მიერ უფლებების გადაჭარბების ყველაზე ხშირად დასახელებულ ორ მაგალითს წარმოადგენს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ძალის გამოყენება და ხისტი პოზიცია სოციალური და კულტურული საკითხების მიმართ.

მონაწილეთა მიერ გამოხატული კრიტიკული შეხედულება ასევე ეხება ხელისუფლების მიერ თანამედროვე სოციალიზმის დაფუძნებას ვარდების რევოლუციის შემდგომ. აღნიშნული მოსაზრების დამცველები მიუთითებენ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ეყრდნობა სოციალისტური რეჟიმებისათვის დამახასიათებელ ოთხ საყრდენს: 1) ერთი პარტიის მმართველობა; 2) მძლავრი პოლიციური რეჟიმი; 3) ბიზნესის კონტროლი; და 4) მედიის კონტროლი. მათი აზრით, ეს ოთხი საყრდენი ხელისუფლებას შენარჩუნებული ჰქონდა ფასადური დემოკრატიის ხარჯზე, იმისათვის რომ გაემართლებინა დასავლეთის მოლოდინები. ყველა კრიტიკოსს აერთიანებს მოსაზრება, რომ მმართველი პარტია სრულად დომინირებს პოლიტიკურ სივრცეში, რაც აშკარაა შემდეგი სამი ფაქტორის გამო:

- მმართველ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს აბსოლუტური უმრავლესობა უკავიათ როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე;

- სოციალური კაპიტალის დაბალი დონის მიუხედავად, ხელისუფლებას უფრო მეტი ძალაუფლება გააჩნია, ვიდრე ოდესმე (ე.ი. ხელისუფლებას მხარს არ უჭერს მოქალაქეთა უმრავლესობა);
- ფართო საზოგადოების მიერ გამოთქმული დიდი უკმაყოფილების მიუხედავად, პოლიტიკური ოპოზიცია ძალზე სუსტია.

ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი აზრის კვლევები (მაგალითად, 2011 წლის მაისში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ ჩატარებული კვლევა) აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60% მხარს არ უჭერს არსებულ ხელისუფლებას. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს დაუჭერს ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ, ოპოზიციურ პარტიებს. თუმცა, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის ნაწილის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის დაკარგვამ გააუფასურა მათი ის შეხედულებები და გზავნილები, რომლებიც აშკარად იყო ხალხის უკმაყოფილების გამოხატველი. ამის გამო, საზოგადოებაში ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც შეექმნათ ლეგიტიმურობის პრობლემები. შედეგად, ხელისუფლება ძალას იკრებს, ოპოზიცია კი სუსტდება. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ საქართველოში მოხდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მარგინალიზაცია, შექმნილი სიტუაცია ხელს უწყობს ხელისუფლებას აირჩიოს მისთვის სასურველი მოქმედების კურსი ისე, რომ არ გაითვლიოს არც პოლიტიკური ოპონენტების და არც საზოგადოების აზრი.

### **დემოკრატიის სოციალური ინდიკატორები**

დემოკრატიის ერთ-ერთი სოციალური ინდიკატორია არჩევნების მიმართ განწყობა, რაც ქართულ კონტექსტში, აგრეთვე, გამოხატულია როგორც ხალხის მზაობის საზომი საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოში არჩევნები ჯერ კიდევ არ არის ხელისუფლების ლეგალური შეცვლის ძირითადი ინსტრუმენტი. დამოუკიდებლობის შემდგომ არც ერთხელ არ შეცვლილა ხელისუფლება არჩევნების გზით. მეტიც, დღემდე, ყოველი არჩევნები საზოგადოების ამა თუ იმ სეგმენტის განსჯის საგანი ხდება, რამაც მაინც ვერ ჩამოაყალიბა ცვლილების განხორციელებისათვის ისეთი ეფექტური საშუალებისადმი ნდობა, როგორცაა არჩევნები. ამას გარდა, რეველუციური ცვლილების განხორციელებისადმი ნდობის დაკარგვას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ბოლო წლებში მიმდინარე ქუჩის საპროტესტო აქციებმა, რომელშიც ასეულ ათასობით ადამიანი იყო ჩართული, შედეგი ვერ მოიტანა. შედეგად, არ არსებობს თანხმობა და ნდობა ცვლილების განხორციელების არც ერთი მეთოდის - არჩევნებისა და განსაკუთრებით რევოლუციის მიმართ, რომელიც არალეგიტიმურად ითვლება. სწორედ



ამის მაგალითია საარჩევნო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ჩაშლილი მოლაპარაკებები.

ამ მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს შემუშავებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ არსებობს ეჭვი, რომ ხელისუფლება აპირებს გაახანგრძლივოს მიხეილ სააკაშვილის უფლებამოსილების ვადა მისი მეორე და უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადის შემდეგ და მომზადდეს მისი პრემიერ-მინისტრად გაზრდილი უფლებებით დანიშვნის საფუძველი. ამავდროულად, არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები ძალაუფლების ცენტრალიზაციასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით ეხება რეგიონულ თვითმმართველობებს. მონაწილეთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით აჭარის წარმომადგენლები, მიუთითებენ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ ირღვევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც თვითმმართველი ერთეულის, უფლებები. ამგვარი დარღვევის მაგალითად დასახელდა ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები, როდესაც გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების გადაცემა ხდება ცენტრალური ხელისუფლებისთვის და შემდეგ უკვე განაწილებული ბრუნდება უკან. აჭარის წარმომადგენელთა და სხვა მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ თვითმმართველობის სხვადასხვა ატრიბუტები ადეკვატურად არ განვითარდა, რის შედეგადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაკარგა ფუნქცია, ხოლო ადგილობრივმა პოლიტიკურმა ელიტამ კი - ნდობა.

მეორე მნიშვნელოვანი სოციალური ინდიკატორია საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი, განსაკუთრებით სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი. ბოლო გამოკვლევების მიხედვით, რომელიც სასამართლოს სამართლიანობას ეხება, საქართველოს მაჩვენებელი შეადგენდა 4.75-ს, შვიდეულიან სკალაზე (სადაც 1 აღნიშნავდა სამართლიანს, ხოლო 7 უსამართლოს). დემოკრატიულ ქვეყნებში სასამართლოები განიხილავენ კერძო საჩივრებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის. კვლევის მრავალი მონაწილე მიუთითებდა საქართველოს იურიდიული სისტემის ნაკლოვანებებზე, როგორცაა აღმასრულებელი ხელისუფლების შეუზღუდაობა, რომლის შედეგადაც გაიზარდა პატიმართა, ადმინისტრაციული და წვრილმანი დამნაშავეების რაოდენობა. საპროცესო გარიგებები კი ექსპერტების მიერ აღიქმება როგორც დამატებითი შემოსავლის წყარო. ამას გარდა, მონაწილეთა უმეტესობა ხაზს უსვამს საკუთარი უფლებების შესახებ მოქალაქეთა არასაკმარის ინფორმირებულობას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია მედიისა და პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვის თავისუფლება. ქართულ კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ინფორმაციის თავისუფლება, თუმცა მისი შესრულება არ არის გარანტირებული. წლების განმავლობაში საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისგან მედიის თავისუფლებით გამოირჩეოდა, მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 2007–2008 წლებში, როდესაც დაიხურა „ოპოზიციურად განზობილი“ ტელეარხები. მონაწილეთა უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომ ტელევიზიების ის ნაწილი, რომლებიც საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობენ, ღიად უჭერენ მხარს ხელისუფლებას, ხოლო ახალი ამბები და პოლიტიკური შოუები ასევე „ღიად იხრებიან“ მთავრობის მიმართულებით. რესპონდენტთა უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომ მოქალაქეები თავს გრძნობენ არაკომფორტულად იმასთან დაკავშირებით, რომ თავისუფლად გამოხატონ პოლიტიკური თვალსაზრისები და განწყობები, მათ შორის, საჯარო სივრცეში. ბოლო წლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო გამუდმებით აქვეყნებდა კერძო საუბრების ჩანაწერებს, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სამართლებრივი ქმედებები კრიმინალებისა და ტერორისტების წინააღმდეგ, რამაც საზოგადოებაში გააჩინა განცდა, რომ ადამიანების პრივატულობა საფრთხეშია (განასაკუთრებით როცა კერძო აზრები საჯარო ადილებში ისმის). ამას გარდა, შეზღუდულია, აგრეთვე, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, მოქალაქეებს არ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები და განწყობები. ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ ბევრი რესპონდენტი, რომლებიც მთავრობის მონინააღმდეგენი არიან, უარს ამბობენ გამოკითხვაში მონაწილეობაზე, ან ცდილობენ დათარონ საკუთარი პოლიტიკური პრეფერენციები. აღნიშნული ფაქტი ამცირებს ამგვარი საზოგადოებრივი გამოკითხვების სანდოობას და ეჭვის ქვეშ აყენებს მათი, როგორც სოციალური ცვლილების განმაპირობებელი საშუალების ღირებულებას.

### ***სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო ღირებულებები საქართველოში***

ტერმინის „სამოქალაქო საზოგადოება“ განმარტებისას, მონაწილეთა უმრავლესობა თანხმდებოდა, რომ იგი გულისხმობს მოქალაქეთა აქტიურ და მოტივირებულ ჯგუფს, რომელიც ცდილობს მიაღწიოს დასახულ მიზანს თვითორგანიზების საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერ ექსპერტთა გარკვეული რაოდენობა სამოქალაქო საზოგადოებას აღიქვამს, როგორც ტრადიციული სამკუთხედის საზოგადოება–სახელმწიფო–ბიზნესის ცენტრს. ბევრი, აგრეთვე, მიიჩნევს, რომ სამოქალაქო

საზოგადოებაში უნდა შედიოდეს თვითმმართველი სტრუქტურები და პოლიტიკური პარტიები. თუმცა, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები დააკმაყოფილებენ მათი ფუნქციონირების შესაბამის მოთხოვნებს, რაც მოქალაქეებს მისცემს საკუთარი პასუხისმგებლობის აქტიურად გაცნობიერების და საკუთარი მოთხოვნების ადგილობრივ „გარემოში“ წამოყენების საშუალებას. პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი სამოქალაქო საზოგადოების წევრებად შეიძლება ჩაითვალოს მანამდე, სანამ ხელისუფლებაში მოვლენ. ჩვეულებრივ, პოლიტიკური პარტიები მუშაობენ ცალკეულ მოქალაქეებთან და მოქალაქეთა ჯგუფებთან იდეების გაზიარებისა და პროგრამების განვითარების მიზნით, რაც იძლევა მათი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აქტორების, დახასიათების საშუალებას. მონაწილეთა უმრავლესობა თანხმდება, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება წარმოიქმნა შვედნადანის პრეზიდენტობის დროს. გარკვეულწილად, ამის მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველოში არ არსებობდა კერძო საკუთრება, დაბალ დონეზე იდგა ადამიანის უფლებების დაცვა, რომელიც დემოკრატიის მნიშვნელოვანი საფუძველია. ამის გამო, ორგანიზებული სამოქალაქო აქტივობების ინიცირება მხოლოდ ნაციონალური იდენტობის საკითხების ირგვლივ ხდებოდა. 1990-იანი წლების შემდგომ სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრები ძალზე პოპულარული გახდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითორგანიზებულ და მოტივირებულ მოქალაქეთა მიერ არ ხორციელდებოდა რეალური აქტივობები, სამოქალაქო საზოგადოების შექმნა ხელოვნურად „გარედან“, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების საშუალებით მოხდა. თავდაპირველად სირთულეს წარმოადგენდა დასავლური ლიბერალური ღირებულებების ირგვლივ მოქალაქეთა თვითორგანიზება, რადგან ეთნიკური ნაციონალიზმით ნასაზრდოებ საზოგადოებაში აღნიშნული ღირებულებები არაორგანული და არაპოპულარული იყო. სწორედ ეთნიკური ნაციონალიზმის დინამიკის შესასუსტებლად შეიქმნა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. შვედნადანის იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნდა სამოქალაქო სექტორი, რომ იგი ხელს არ უშლიდა მისი საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნულმა ფაქტმა ხელი შეუწყო სამოქალაქო სექტორის შემდგომ განვითარებას. შვედნადანის მმართველობის პერიოდში საჯარო სექტორი კორუფციის მაღალი დონით გამოირჩეოდა, ხოლო სამეცნიერო სფეროს არ გაჩნდა საკმარისი დაფინანსება, ამიტომ აღნიშნული ორი სექტორიდან არასამთავრობო ორგანიზაციებმა უამრავი ადამიანი მიიზიდეს.

როდესაც აკადემიური სფეროს ექსპერტთა გარკვეული ნაწილი ხაზს უსვამს შევარდნაძის პერიოდში სამოქალაქო სექტორის სიძლიერეს, ისინი თანხმდებიან, რომ აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო საზოგადოების რეალურ განვითარებად, ვინაიდან არასამთავრობო სექტორი სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ერთი ელემენტია და გავლენას ვერ ახდენს ფართო საზოგადოებაზე. მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა კრიტიკული როლი შეასრულეს საზოგადოებაში ლიბერალური იდეების დასამკვიდრებლად. თავდაპირველად, ტერმინს „სამოქალაქო საზოგადოება“ უკავშირებდნენ დასავლურ ღირებულებებს, მხოლოდ 1990–იანი წლების შემდგომ მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციების გაიგივება დემოკრატიის ხელშემწყობ ინსტიტუტებთან. მათი ღირებულებები და მიზნები მოიცავდნენ, მაგალითად, კანონის წინაშე თანასწორობის დამკვიდრებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერას, ქალთა და უმცირესობების უფლებების გაძლიერებას და სხვ.

მოსაზრებათა თანხვედრა შეინიშნა შემდეგ საკითხთან მიმართებაში: ვარდების რევოლუციის შემდეგ არასამთავრობო სექტორი შესუსტდა, ძირითადად იმ მიზეზით, რომ აღნიშნული სექტორიდან მოხდა კადრების გადანაცვლება სამთავრობო ინსტიტუტებში. შედეგად, გაძლიერდა სამთავრობო ინსტიტუტები, ხოლო სამოქალაქო სექტორი შესუსტდა. ამას გარდა, ვარდების რევოლუციის შემდეგ, საერთაშორისო ფინანსური დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი, სამოქალაქო სექტორის ნაცვლად, მიმართული იყო სამთავრობო პროექტებზე, რაც ასევე ხელს უწყობდა სამოქალაქო სექტორის დასუსტებას. სხვა მოსაზრების მიხედვით, რომელსაც იზიარებს კვლევაში მონაწილე არასამთავრობო სექტორის და სამეცნიერო წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი, სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება გამოიწვია ამჟამინდელი მთავრობის მიერ მედია საშუალებებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვამ, რომელთა დახმარებითაც სამოქალაქო სექტორს საკუთარი გზავნილები ფართო საზოგადოებითვის უნდა გაეცნო.

ვარდების რევოლუციის შემდგომ, მთავრობის მიერ მოხდა სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული სეგმენტების მარგინალიზაცია, რაც ნეგატიურად აისახა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიულობაზე – ზოგიერთი მათგანი თავს იკავებს საერთაშორისო პროექტების გარდა სხვა პროექტებში მონაწილეობისგან, ხოლო ნაწილს აქტიურად ჩართვის სურვილი იმ მიზეზით არ აქვს, რომ არ მიენერგოს „რადიკალის“ იარლიყი და არ მოხდეს მათი მარგინალიზაცია. 2003 წლის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოება ძალზე პოლიტიზირებული და პოლარიზებული გახდა – ობიექტურობა და მიუკერძოებულობა აშკარად აკლია არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშებს, სადაც მათი პოლიტიკური

პოზიციას დაფიქსირებული. თავის მხრივ, ხელისუფლება აკრიტიკებს არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი „პოლიტიკური დღის წესრიგის“ და სხვა რეალური თუ არარეალური ნაკლოვანებების გამო, ნაცვლად იმისა, რომ გაითვალისწინოს და რეაგირება მოახდინოს მათ ანგარიშებში ასახულ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში, რომლებიც ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობენ. საბოლოო ანგარიშით, მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო განიხილავს როგორც ოპონენტებს, ვიდრე როგორც პარტნიორებს დიალოგისთვის. მოცემული პოლიტიკური კონტექსტის შედეგად წარმოქმნილი პოლარიზაცია კი ხელს უშლის საქართველოში სამოქალაქო სექტორის განვითარებას.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ხელს უშლის გარკვეული კულტურული ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზებული სამოქალაქო აქტივობის მრავალი ფაქტი არსებობს, ისინი შემოიფარგლება ტრადიციული კულტურული მოვლენებით და რიტუალებით (ქორწილები, დაკრძალვები, და სხვა ტრადიციული ღონისძიებები) მაშინ, როდესაც ყოველდღიური პრობლემების მოგვარება არ ხდება ორგანიზებული ფორმით (სამეზობლო სივრცის დასუფთავება, მრავალსართულიანი კორპუსებში საერთო სივრცის კეთილმოწყობა და შეკეთება და სხვ.). მეცნიერთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ სოციალური კაპიტალის დაბალი დონე აიხსნება საქართველოში ფეოდალური წესრიგის ხანგრძლივი არსებობით. მონარქიული წყობის პერიოდში, საუკუნეების განმავლობაში, მმართველი აღიქმებოდა როგორც ხალხზე (ბავშვზე) მზრუნველი (მშობელი), რომელსაც ევალეობდა მათი ყველა საჭიროების დაკმაყოფილება. საბჭოთა პერიოდმა გააღრმავა ამგვარი განწყობა - მხოლოდ, მმართველი ჩაანაცვლა სახელმწიფო აპარატმა. საუკუნეების განმავლობაში ქართველებს ჩამოუყალიბდათ მოლოდინები, რომ მმართველი ან სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, რამაც ხელი შეუწყო დაბალი დონის სოციალური კაპიტალის წარმოქმნას, ადამიანთა ვიწრო წრეში (მაგ: კულტურული რიტუალები და ა.შ.), არაფორმალური (ოჯახი, ნათესავები) ურთიერთობების ფარგლებს მიღმა. ბოლოდროინდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს კვლავ აქვს მოლოდინი, რომ სახელმწიფო მოუგვარებს ყველა პრობლემას, მათ შორის განუსაზღვრავს შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მოდელს და მიმართულებას. აღნიშნული ფაქტი ხელს უშლის საქართველოს მოქალაქეებს შორის სამოქალაქო აქტივობების გავრცელებას. მართლაც, ზოგიერთმა მონაწილემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მთავრობის მიერ

სამოქალაქო აქტივობების განხორციელების გადაცემის მცდელობას ხშირად „ქვემოდან“ ხვდება წინააღმდეგობა, ფერხდება სასოფლო პროგრამების განხორციელება და მუნიციპალური სისტემების დაფუძნება ქალაქის ტიპის დასახლებებში.

და ბოლოს, გემოაღნიშნული წინააღმდეგობების გარდა, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ელიტურობის საკითხი. თუ პოლიტიკური და ბიზნეს ელიტის ფენომენი ბუნებრივად გამოიყურება, სამოქალაქო საზოგადოება თავისი არსით გამორიცხავს ელიტის არსებობას, თუ მას სურს რომ იყოს ხალხის აზრის გამომხატველი და ამავე დროს შეეძლოს ხელისუფლებასთან ეფექტური კავშირის დამყარება. ამ კვლევის ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ საქართველოში არასამთავრობო სექტორი რეალურად არ წარმოადგენს ფართო საზოგადოებას, რამდენადაც არასამთავრობო ორგანიზაციები ან საგარეო ინიციატივების (უცხოური დონორების) პროდუქტია, ან აკლიათ სრულფასოვნება საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის გამო.

### **რეკომენდაციები**

სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის გაძლიერების მიზნით, წამოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული ფართო კონსულტაციების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესების მდგრადი განვითარების გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის შემდგომი კონკრეტული ნაბიჯები და ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული ძირითადი აქტორების მიერ:

- ეროვნული თანხმობისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე კოოპერაციის ხელშეწყობის მიზნით უნდა დაფუძნდეს **ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა**. ჩართულობის ამგვარი ფორმა **სამოქალაქო საზოგადოების ყველა აქტორს** მისცემს მონაწილეობის საშუალებას და ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული ყველა სამოქალაქო აქტორის ეროვნულ დონეზე კომუნიკაციას, გაზრდის სახელმწიფოებრივი საკითხების მოგვარების ერთობლივი მცდელობის შესაძლებლობას, სადაც ჩართული იქნებიან ხელისუფლება და/ან საერთაშორისო არასამთავრობო დონორი ორგანიზაციები, ფინანსური, ტექნიკური ან სხვა სახის მხარდაჭერის გასახორციელებლად;
- სოციალური სამართალიანობისა და კონსოლიდაციის ხელშეწყობის გაძლიერება შესაძლებელია, თუ ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრები შექმნიან **პარლამენტის და/ან მთავრობის საკონსულტაციო კომიტეტს**. ამგვარი კომიტეტი უნდა შედგებოდეს ექსპერტებისგან (ქართველი და უცხოელი) რომლებიც მჭიდროდ ითანამშრომლებენ ხელისუფლებასთან მნიშვნელოვან

სახელმწიფოებრივ საკითხებზე, რის შედეგადაც მიიღწევა კონსენსუსი პროფესიონალური და ექსპერტული ანალიზის საფუძველზე;

- იდენტურობის განმტკიცებისა და დასავლური ღირებულებების მხარდაჭერისათვის, ხელისუფლებამ და სამოქალაქო საზოგადოებამ ერთობლივად უნდა განახორციელონ სამოქალაქო განათლების პროექტები, რომლებიც სენსიტიურ და სადაო საკითხებს ეხება. მაგალითად, საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების კონტექსტში საზოგადოების ინფორმირების კამპანიის წარმართვა *სამოქალაქო კოდექსში* ახლახანს მიღებული ცვლილების თაობაზე (რომელიც ეხება რელიგიური უმცირესობების სამართლებრივ სტატუსს) მიზნად უნდა ისახავდეს თართო საზოგადოების გათვითცნობიერებას დემოკრატიის პრინციპებთან დაკავშირებით, რაც, ამავდროულად, იქნება ამ ტიპის კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციის გაუვნებელყოფა;
- საქართველოში ძლიერი, პასუხისმგებლობის მატარებელი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი სოციალური და ისტორიული წინააღმდეგობების დაძლევის მიზნით, ხელისუფლება უნდა შეეერთდეს ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას იმისათვის, რომ გამოავლინდეს სფეროები, სადაც ამგვარი „**პასუხისმგებლობები**“ მთავრობისგან შესაძლოა გადაეცეს რელევანტური სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს. ამგვარი სფეროები დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან, განათლებასთან, ჯანდაცვასთან, ეკონომიკურ განვითარებასთან და სხვ. შესაბამისად, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ძირითად მიმართულებებზე კონსენსუსის გზით მოხდება. ამავდროულად, მოხდება ინფორმირებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობების გენერირება, განსაკუთრებით ერთობების დონეზე. ამგვარი მიგომა სამოქალაქო საზოგადოებას მისცემს გაძლიერების საშუალებას, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას ჩამოაშორებს ტვირთს;
- დემოკრატიასთან და დემოკრატიზაციასთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი და სენსიტიური საკითხები ერთობლივად უნდა გადაწყდეს, კონსტრუქციული სახით, კონფრონტაციის გარეშე. მაგალითად, ისეთი საკითხების მხარდაჭერა, როგორცაა საკონსტიტუციო რეფორმა, ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, მედიის საკუთრების გამჭვირვალობა, სასამართლო რეფორმა და ა.შ. უნდა ხორციელდებოდეს **მედიის და სხვა საჯარო დონისძიებების საშუალებით**, მათ შორის, სატელევიზიო დებატების გზით, რომლებსაც ნაციონალური არხები გააშუქებს, რეგიონულ და/ან სოფლის ცენტრებში გამართული დისკუსიებით და ა.შ. საერთაშორისო ექსპერტებმა, სადაც

ეს შესაძლებელია, დახმარება უნდა გასწიონ სხვადასხვა საკითხების დებატების წარმართვაში, რაც აღძრავს ინტერესს და გავებას ფართო მასებში.



## **თავი 2: რეგიონული კონტექსტი: გამოწვევები და შესაძლებლობები** **მამუკა არეშიძე**

წინამდებარე კვლევის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების წევრებს შორის დიალოგის მხარდაჭერა. კვლევა წარმოაჩენს რეგიონში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს განვითარებაზე და ამ კონტექსტში შეისწავლის ქვეყნის ძირითად საშინაო გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. როგორც კვლევის რეზიუმეშია აღნიშნული, ნაშრომი ეფუძნება ფართო და მრავალმხრივ კონსულტაციებს, რაც მიზნად ისახავდა ქართულ საზოგადოებაში არსებული მრავალი განსხვავებული თვალთახედვის ასახვას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა არ არის თემატურად ყოვლისმომცველი და არც დასკვნები საბოლოო და ამომწურავი, ის მაინც ასახავს ამ პროცესის მონაწილეთა მრავალ განსხვავებულ აზრს და წარმოადგენს მომავალი დიალოგის, შესწავლისა და ერთობლივი ქმედების საწყის წერტილს.

### ***შესავალი***

კავკასიის რეგიონის მიმართ ინტერესი ისტორიულად განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებითა და მომგებიანი საკომუნიკაციო სისტემებით. ამავე დროს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ქმნიდა ბაზას, რომელსაც კარგად იყენებდნენ და იყენებენ რეგიონის გაკონტროლების მსურველი მეზობელი ქვეყნები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც რეგიონის ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, კავკასიაში „ტრადიციულ“ მოთამაშეებთან - რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან - ერთად სტრატეგიული ინტერესების მქონე ორი ახალი მოთამაშე - აშშ და ევროკავშირი გამოჩნდა. ძლიერი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირება და შიდა რეგიონული კონფლიქტები განაპირობებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური განვითარების განსხვავებულ მიმართულებებსა და ტემპს. თავის მხრივ ეს აჩენს რეგიონის სამივე ქვეყნის დამოუკიდებულებას ძლიერ გეოპოლიტიკურ აქტორებზე და ზრდის რეგიონულ საფრთხეებსა და რისკებს.

კავკასიაში მიმდინარე პროცესებში დიდ მოთამაშეებს შორის რუსეთი ყველაზე აქტიურ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მოსკოვი მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეს, მათ შორის სამხრეთ კავკასიას, კვლავაც თავისი გავლენის სფეროდ განიხილავს და “შეკავების პოლიტიკის” გატარებით ცდილობს გადაუჭრელ რეგიონულ კონფლიქტებზე ზეწოლას. ეს ხელს უწყობს რუსეთის ძალისხმევას, რომ ერთპიროვნული კონტროლი დაამყაროს სამხრეთ კავკასიაზე გამავალ შუა აზია-ევროპის ენერჯოკორიდორზე.

რეგიონის სამივე ქვეყანას ახასიათებს სახელმწიფო მშენებლობისადმი თითქმის ერთნაირი მიდგომა, რომელიც საბჭოური მართვის წესის, ტრადიციული ურთიერთობებისა და დასავლური დემოკრატიული პრინციპების ეკლექტურ ნაზავს წარმოადგენს. სახელმწიფოს მშენებლობისადმი ასეთი მიდგომა, გარეშე ხელისშემშლელი ფაქტორები, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის დეფიციტი განაპირობებს მმართველი ვერტიკალის პირობით სიძლიერეს რეგიონის სამივე ქვეყანაში. გრძელვადიან პერპექტივაში ეს ქვეყნების შიდა სტაბილურობას უქმნის საფრთხეს, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში განვითარებას აფერხებს. თუ განვითარების წინაპირობებია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ კონფლიქტითიანი ყარაბაღის გამო, საქართველოს აქვს შანსი თავისი მაგალითით წამყვანი როლი ითამაშოს რეგიონის განვითარებაში. ამისათვის მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ საქართველოში არსებული ვითარება და აქ მიმდინარე პროცესები, რათა შევავსოთ მისი შესაძლოლობა, მოახდინოს გავლენა რეგიონზე.

### ***1991-2008 წლების ზოგადი სიტუაციური ანალიზი***

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა, რაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციით“ დაგვირგვინდა. 2003 წლისთვის ქვეყანამ რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, კერძოდ:

- დადგინდა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა საქართველოს სუვერენიტეტმა;
- საქართველო გახდა წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების სრულფასოვანი წევრი;
- საქართველომ დაამყარა სულ უფრო მზარდი კავშირები დასავლურ სამყაროსთან;
- საქართველო გადაიქცა ენერგომატარებლების მნიშვნელოვან სატრანზიტო კორიდორად.

ამავე დროს, 2003 წლისთვის საქართველოს რამდენიმე ჩავარდნაც ჰქონდა, წინა ხელისუფლებიდან გადმოჰყვა ან შეექმნა ახალი ქრონიკული პრობლემები, რაც ხელს უშლიდა განვითარებაში:

- სამოქალაქო ომის გამოცდილება და გადაუჭრელი კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში;
- ტოტალური კორუფციით პარალიზებული მმართველობის არაეფექტური სისტემა;
- მძიმე სოციალური ვითარება განადგურებული ეკონომიკისა და უზარმაზარი სახელმწიფო ვალის ფონზე;
- კანონის უზენაესობის არარსებობა და კრიმინალის მაღალი დონე.

- საარჩევნო სისტემა, რომელიცვერ უზრუნველყოფს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს.
- სუსტი სამართალდამცავი და სამხედრო სტრუქტურები.

თუ შევადარებთ ერთანეთს მიღწევებსა და ჩავარდნებს, ცხადი ხდება, რომ ჩავარდნები პირდაპირ აისახებოდა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ხოლო მიღწევებს უმნიშვნელო ზეგავლენა ჰქონდა და მოქალაქეთა უმეტესობას არ შეხებია. ხელისუფალთა მიერ საზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფამ საზოგადოებას უბიძგა, მხარი დაეჭირა ახალგაზრდა ენერგიული პოლიტიკოსებისათვის, რომელთაც გადაჭრით სურდათ ვითარების შეცვლა და საბოლოოდ შეძლეს კიდევ „ვარდების რევოლუციის“ მოხდენა. ფართო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა „ვარდების რევოლუციაში“ განპირობებული იყო რევოლუციის ლიდერების დეკლარირებული მიზნით, შებრძოლებოდნენ მანკიერებებს, რაც ხალხს სამართლიანობის აღდგენისა და უკეთესობისკენ ცვლილებების იმედს აძლევდა. ამ განწყობას კიდევ უფრო აძლიერებდა „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებისადმი დასავლეთის მიერ განეული დახმარება, რომლის მიზანიც საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევა და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება იყო.

„ვარდების რევოლუციის“ ლიდერები ხელისუფლებაში სამოქალაქო საზოგადოების დახმარებით მოვიდნენ და ახალი მთავრობის დიდი ნაწილიც სამოქალაქო საზოგადოებიდან იყო გამოსული. შედეგად საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მნიშვნელოვნად დასუსტდა. რევოლუციურმა სტილმა მთავრობის მუშაობაში თავიდანვე მყარად მოიკიდა ფეხი, რაც საზოგადოების ნაწილის შემფოთების, ხოლო ნაწილის გაღიზიანების საგანი გახდა. დემოკრატიის ტრიუმფით გატაცებაში, მთავრობის კრიტიკოსთა ხმები მარგინალიზებული და მივიწყებული დარჩა. მმართველობის თავიდანვე აშკარად აგრესიული სტილი იმით მართლდებოდა, რომ ქვეყნის მრავალმხრივი კრიზისიდან გამოსაყვანად რადიკალური რეფორმების გატარება იყო საჭირო. კრიზისების თანდათანობით დაძლევისათვის ერთად მმართველობის ეს სტილი - გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჭვირვალობა, კონსულტაციების არარსებობა და ა.შ. - დამკვიდრდა და საბოლოოდ საზოგადოებაში უკმაყოფილება და კონფრონტაცია გამოიწვია. მმართველობისადმი ასეთმა მიდგომამ უარყოფითად იმოქმედა კონფლიქტების მოგვარების საქმეზეც და ერთის მხრივ თბილისისა და მეორეს მხრივ სოხუმისა და ცხინვალის პოზიციები ერთმანეთს კიდევ უფრო დაშორდა. ეს მდგომარეობა მოხერხებულად გამოიყენა რუსეთმა საკუთარი ინტერესების

სასარგებლოდ, რამაც საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე მიგვიყვანა. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის მიზეზები სხვა ნაშრომებში უფრო ღრმად არის გამოკვლეული, ამიტომ მას არ ჩავუღრმავდებით, მაგრამ არავინ უარყოფს, რომ საქართველოს მთავრობის ასეთი მიდგომა კონფლიქტის გაჩაღებისთვის ხელსაყრელ ფონს ქმნიდა.

თუ 2008 წელი მზარდი შიდა და საგარეო დაპირისპირების კულმინაციის პერიოდი იყო, ამის შემდეგ დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ერთმანეთს კიდევ უფრო დაშორდა და გამყარდა. შედეგად ხელისუფლებასა და საზოგადოების გარკვეულ სეგმენტებს შორის, რომლებიც მისი პოლიტიკისა და მმართველობის სტილს უპირისპირდებოდნენ, მოხდა გაუცხოება. ეს გაუცხოება საფრთხეს უქმნის საქართველოს სტაბილურობას. გარდა ამისა, ომის შემდგომი გეოპოლიტიკური ვითარება, როცა საქართველოს ნაწილი ოკუპირებულია, ხოლო რუსეთთან ურთიერთობები - არამეგობრული, რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას რისკის ქვეშ აყენებს.

### ***არსებული საშინაო ვითარება***

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ფართო დისკუსიებმა და კვლევის პროცესმა ცხადყო, რომ ქართული საზოგადოება პოლარიზებულია, ხოლო ამ საზოგადოების აქტიური ნაწილი - პოლიტიზებული. ჩვენს კვლევაში ჩართულ მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1. ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკის მომხრეები. ეს ადამიანები უპირობოდ უჭერენ მხარს მთავრობის ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს და არ იღებენ ოპოზიციურ შეხედულებებს.
2. ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკისადმი კრიტიკულად განწყობილები. ეს ადამიანები მთავრობასა და მის ქმედებებს, „პოზიტიური ნაბიჯების“ ჩათვლით, მიუღებლად და არალეგიტიმურადაც კი მიიჩნევენ.

ამ ორი ჯგუფის ხედვები ურთიერთგამომრიცხავია, რაც ნებისმიერი საკითხის განხილვისას კონსენსუსის მიღწევას ხელს უშლის. საწინააღმდეგო შეხედულებები საკითხთა ფართო სპექტრზე, მათ შორის არჩევნებზე, მედიის თავისუფლებაზე, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, ადამიანის უფლებებზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) მდგომარეობაზე, საგარეო პოლიტიკაზე, მთავრობის პოლიტიკის ნებისმიერ სხვა ასპექტზე - ცხადყოფს ღრმა გაუცხოებას ერთის მხრივ მთავრობასა და საზოგადოების დიდ

სეგმენტს შორის და მეორეს მხრივ საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს შორის. ეს ვითარება ხელს უშლის სოციალურ და დემოკრატიულ განვითარებას, წარმოშობს ურთიერთუნდობლობას და შიშსაც კი, რაც კონფრონტაციის რისკს კიდევ უფრო ზრდის. ამ ორი ჯგუფის ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების საილუსტრაციოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ პირველი ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ მთავრობის მიღწევებზე, მაგალითად:

- საქართველოს მიღწევების მსოფლიოს მასშტაბით ცნობადობის ამაღლება და საერთაშორისო იმიჯის გაზრდა;
- მთავრობის ენერჯიული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მათ შორი მტკიცე პოზიცია რუსეთთან მიმართებაში;
- მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები და ცხოვრების უფრო მაღალი დონე;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისთვის მომხიბვლელი ლიბერალური საგადასახადო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს და წაახალისებს ბიზნესს;
- გაუმჯობესებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- სამშენებლო სექტორის სწრაფი განვითარება და ეკონომიკის სხვა სექტორების წინსვლა;
- მნიშვნელოვანი რეფორმები სოციალურ სფეროში და გაუმჯობესებული სამთავრობო სოციალური სერვისები;
- პოლიციის სიღრმისეული რეფორმა და მიღწევები კრიმინალთან ბრძოლაში, მათ შორის კორუფციის აღმოფხვრა საყოფაცხოვრებო დონეზე;

ამავე დროს, მეორე ჯგუფი აქცენტს აკეთებს მხოლოდ საზოგადოების წინაშე არსებულ პრობლემებზე და იმ საკითხებზე, რასაც ისინი ამჟამინდელი მთავრობის მიერ ჩადენილ სოციალურ უსამართლობად მიიჩნევენ:

- უმუშევრობის მაღალი დონე;
- ფასების პერმანენტული ზრდა და მზარდი სიღარიბე, განსაკუთრებით სოფლად, ასევე მზარდი ქონებრივი განსხვავება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებს შორის;
- მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის სამედიცინო დახმარების ხელმინვდომლობა მაღალი ფასების გამო;
- დემოგრაფიული პრობლემები შობადობის შემცირებისა და გაზრდილი სიკვდილიანობის გამო;
- შერჩევითი სამართალი და პრობლემები პენიტენციურ სისტემაში, რასაც შედეგად კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებათა დარღვევა მოსდევს;
- კერძო საკუთრების ხელყოფა, ელიტური კორუფცია და მონოპოლიების შექმნა

- სტრატეგიული ობიექტების გასხვისება, განსაკუთრებით რუსეთისათვის მიყიდვა;
- ბენოლა მედიამზე;
- განათლების სისტემის გაუთავებელი რეფორმირება, რაც ამცირებს განათლების ხარისხს;
- ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება თვითმმართველობის დაკნინების ხარჯზე;
- სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ჩამოყალიბებული სტრატეგიის უქონლობა;
- მოუგვარებელი კონფლიქტები და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივის არარსებობა;

კონტრ-პოზიციის მიზნების გასაანალიზებლად და ნეგატიური სიტუაციის დაძლევის გზების საძიებლად საჭიროა განვიხილოთ ორი ქვე-ჯგუფი, რომლებიც ჩვენი მუშაობის პროცესში გამოიკვეთა:

1. საზოგადოების გაუცხოებული სეგმენტი, რომელიც ძირითადად შედგება ინტელექტუალებისგან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებისგან, ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორისგან, რომლებიც თვლიან, რომ მათ მიერ მთავრობისთვის შემუშავებული კონსტრუქციული რეკომენდაციები და შეთავაზებები უგულებელყოფილი დარჩა, ხოლო მათი პოტენციალი, რომელიც შეეძლოთ ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინათ - გამოუყენებელი.
2. საზოგადოების დიდი ნაწილი გამოხატავს უიმედობას შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. ეს ნაწილი მოიცავს ქალაქში მცხოვრებ კვლევის მონაწილეთა ბოგიერთ სეგმენტს და რეგიონში მცხოვრებ მონაწილეთა უმრავლესობას, რომლებიც უკმაყოფილონი არიან საკუთარი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით და ფიქრობენ, რომ უძღურნი არიან შეცვალონ რაიმე ან უფრო ხიან ხელისუფლების წინაშე უკმაყოფილების გამოხატვას.

ამ შემთხვევების საფუძვლისა და საზოგადოების პოლარიზაციის მიზნების გასარკვევად, მიზნად დავისახეთ გაგვერკვია რა იყო ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობების ყველაზე საკამათო ასპექტები. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია მთავრობასა და საზოგადოების აქტიურ სეგმენტს შორის კომუნიკაციის დეფიციტი, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან ელემენტს მოიცავს. ჯერ ერთი, საზოგადოების მრავალ ფენას, განსაკუთრებით რეგიონებში, არ აქვს საკმარისი ინფორმაცია და ცოდნა მთავრობის საქმიანობისა და პოლიტიკის შესახებ. ამის ნათელი მაგალითია ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა ვიზიტები ლათინური

ამერიკისა და ოკიანის რეგიონში. ამ ვიზიტებს კონკრეტული მიზანი ჰქონდა - რეგიონის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის განვითარების გზით გაენიერებინა რუსეთის მიერ ინიცირებული სეპარატისტული რეგიონების საერთაშორისო აღიარების პროცესი. საქართველოს საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ იყო ინფორმირებული ამ ვიზიტების მიზნის თაობაზე და გამოხატავდა გაღიზიანებას, რადგან ერთი შეხედვით ეს ჰგავდა ექსტრავაგანტულ მოგზაურობებს შორეულ ეგზოტიკურ ქვეყნებში. ეს მაგალითი ცხადყოფს, როგორ წარმოშობს გამჭვირვალობისა და ადეკვატური ინფორმაციის ნაკლებობა არასწორ ინტერპრეტაციებს, ეჭვებსა და უნდობლობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ხელისუფლებისა და ფართო საზოგადოების ურთიერთობებზე. მთავრობის მიერ გატარებული რიგი რეფორმებისა, ხშირ შემთხვევებში მნიშვნელოვანი სამთავრობო სტრატეგიები და დარგობრივი პოლიტიკა არ იყო ახსნილი ფართო საზოგადოებისთვის. დროთა განმავლობაში ამან მათ შორის არსებული ნაპრალი გაზარდა.

ეს მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე ელემენტთან - მედიის თავისუფლებასთან და პროფესიონალიზმთან. ბევრი მონაწილე ქარულ მედიას განიხილავდა როგორც „ნაწილობრივ თავისუფალს“ და აღნიშნავდა, რომ ხშირად ჟურნალისტებს აძალებენ გარკვეული კუთხით ან საერთოდ არ გააშუქონ მოვლენები. გარდა პოლიტიკური ჩარევისა და მედიის საშუალებებზე ზეწოლისა, მედიის წარმომადგენლები ასევე განიცდიან ინფორმაციის ხელმიუწვდომლობას. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პრეზიდენტის მიერ გაცემული ინსტრუქციების მიუხედავად, ინფორმაციის გაცემა ისევ არაადეკვატურია, განსაკუთრებით რეგიონებში, ოფიციალური პირები კი არ პასუხობენ მოთხოვნებს, რაც ეჭვებსა და უნდობლობას ამძაფრებს.

მთავრობა არასაკმარისად იყენებს სამოქალაქო სექტორის ფუნქციას, რომელსაც ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის შუამავლის როლის შეასრულება შეუძლია. იგივე ითქმის ექსპერტთა, სპეციალისტთა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა და სხვათა ჩართვაზე საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც იზიარებენ მთავრობის შეხედულებებს სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკაში, ეკოლოგიაში, საარჩევნო საკითხებში და ა.შ.), არის მრავალი ექსპერტი და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა ცოდნა და გამოცდილება არ არის გამოყენებული. ასეთი შერჩევითი მიდგომა არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი ხელს უშლის მათაც და საზოგადოების სხვა წევრებსაც ერთმანეთისთვის ცოდნისა და გამოცდილების

გაზიარებაში, ქმნის ხელოვნურ დაყოფას სამოქალაქო საზოგადოებაში მთავრობისადმი რეალური და წარმოსახვითი ლოიალობის ნიშნით, რაც ამძაფრებს მათ შორის კონფლიქტებს და ეროვნული განვითარების მნიშვნელოვანი საკითხებიდან ყურადღება სხვა საკითხებზე გადააქვს.

მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკამათო საკითხია სასამართლო, სამართალდამცავ და პენიტენციურ სისტემებზე განსხვავებული ხედვები. არსებული მდგომარეობის შესახებ შეფასებითი მსჯელობის გარეშე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მოქალაქეთა დიდი ნაწილის აზრით სასამართლო სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება და სამართალი შერჩევით ხორციელდება, სასამართლოში პროკურატურას დომინანტური ადგილი უკავია და ადვოკატის ფუნქციები ნიველირებულია, რასაც შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევა მოსდევს, ხოლო კრიმინალისადმი „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა სამაგალითო დასჯას უფრო ემსახურება, ვიდრე დანაშაულის პრევენციას.

### ***ამუამინდელი ვითარება - რეგიონული ფაქტორები***

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე მსჯელობისას, კვლევის მონაწილეთა პოზიციები საგარეო ფაქტორებთან დაკავშირებით უფრო მეტად თანხვდებოდა ერთმანეთს, ვიდრე საშინაო ფაქტორებთან მიმართებაში. მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ ასეთ ფაქტორებად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საფრთხის შემცველი და სხვა საკითხები მიიჩნია. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია რუსეთის როლი. ყველა მონაწილემ აღნიშნა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია და იქ სამხედრო ბაზების განლაგება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პირდაპირი აგრესიისადმი შიში 2008 წლის შემდეგ განელდა, მაინც რჩება საფრთხეები, რაც განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება საქართველო-რუსეთის საზღვრისპირა რაიონებში, ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს “ბუფერულ ზონებში“ ან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების გასწვრივ მცხოვრები მოქალაქეების ფიქლოლოგიურ მდგომარეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხეები რეალურია, ბევრი მონაწილე აღნიშნავდა, რომ მთავრობაცა და მედიაც მათ დამატებით აზვიადებს რათა შექმნას მტრის ხატი, რაც დაშინებული მოსახლეობის უკეთ მართვაში დაეხმარება. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მედიაში ხშირად ისმოდა ინფორმაცია ქართულ საზოგადოებაში რუსეთის „მეხუთე კოლონის“ შესახებ, თუმცა ამის დამადასტურებელი საბუთები დღემდე არ გამოქვეყნებულა. გარდა რუსული ფაქტორისა, არის სხვა შემამოთვითებელი საკითხებიც:



- მთავრობის აქტიური პოლიტიკა ჩრდილოეთი კავკასიის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეთა უმრავლესობა მხარს უჭერს მთავრობის ნაბიჯებს (უვიზო მიმოსვლას, ლარსის საკონტროლო პუნქტის გახსნას, ჩერქეზთა გენოციდის ცნობას) და ამავე დროს შეშფოთებულია გადანაცვლების მიღების პროცესის უცაბედი და ერთი შეხედვით სპონტანური ხასიათით, რაც შეიძლება რისკების არაადეკვატური შეფასების მაჩვენებელი იყოს;
- კონფლიქტის ზონებში (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) განვითარებული სიტუაცია, ასევე სხვა რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთსა და პანკისში), სადაც კონფლიქტის განვითარების სხვადასხვა პოტენციალია, ქმნის მიმდებარე რეგიონებში საფრთხეების გადმოტანის საშიშროებას;
- სომხეთთან და აზერბაიჯანთან გადაუწყვეტელი სასაზღვრო დავები, რაც საქართველოს შიგნით რთული მრავალ-ეთნიკური და მრავალ-კონფესიური ურთიერთობების ფონზე მიმდინარეობს. ასევე გასათვალისწინებელია გართულებული ურთიერთობები საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის;
- თურქეთისა და ირანის ინტერესები კავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, და ისლამის სავარაუდო გავრცელება, რასაც შეიძლება კულტურათა შორის კონფლიქტი მოჰყვეს;
- საქართველოს სატრანზიტო კორიდორად შესაძლო გამოყენება საერთაშორისო ტერორიზმის, ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვებისა და იარაღით ვაჭრობისთვის.

რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების რეგიონულ პოლიტიკასთან ერთად გასათვალისწინებელია ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება და იქ მიმდინარე პროცესები, რადგან მას შეუძლია საფრთხე შეუქმნას მთელ რეგიონს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. აღსანიშნავია, ჩრდილოკავკასიური წარმოშობის მოქალაქეები ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიაში, მაგალითად: ჩეჩნები და ოსები - საქართველოში, ლეკები - აზერბაიჯანში, და პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩართულები არიან ჩრდილოკავკასიურ პროცესებში.

ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ვითარება რუსეთის შიდა სტაბილურობასა და ერთიანობას რამდენიმე მხრიდან უქმნის საფრთხეს. ამ რესპუბლიკებში სხვადასხვა ინტენსივობითაა გავრცელებული რელიგიური (ისლამური) ექსტრემიზმი, ტერორიზმი და უკანონობა. მდგომარეობა ხასიათდება მძიმე კრიმინოგენული სიტუაციით, კანონის უზენაესობის არარსებობით და ფართოდ გავრცელებული კორუფციით. რეგიონები

იმართება კლანების მიერ, მოქალაქეთა უმრავლესობა იმყოფება სიღარიბის ზღვარს მიღმა, ირღვევა ადამიანის უფლებები და დემოკრატიული პროცესები სტაგნაციას განიცდის. ამ პრობლემებს ემატება გადაუჭრელი ოსურ-ინგუბური ეთნიკური კონფლიქტი და დაძაბული უერთიერთობები ბალყარელებსა და ყაბარდოელებს ერთის მხრივ და ყარაჩაელებსა და ჩერქეზებს შორის, მეორეს ამ ფეთქებადი სიტუაციის გაკონტროლებას მხრივ. რუსეთი ძალისმიერი და ფინანსური მეთოდების გამოყენებით ცდილობს. ადგილობრივი მმართველები მოსკოვისადმი ლოიალობის ნიშნით ინიშნებიან, რაც არ გამოხატავს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და უარყოფითად აისახება სტაბილურობისა და უსაფრთხოების სისტემაზე. ჩრდილოეთ კავკასიაში კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, საქართველო აშკარა საფრთხის წინაშე.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის ორ ქვეყანას - აზერბაიჯანსა და სომხეთს - მათ ერთმანეთთან ერთიერთობები განყვეტილი აქვთ მთიანი ყარაბაღის გარშემო წარმოქმნილი კონფლიქტის გამო, რომელიც რეგიონის ყველაზე „ხანდაზმული“ და უდიდესი კონფლიქტია. ორივე მხრიდან სამხედრო ხარჯებისა და საომარი რიტორიკის ზრდა წარმოშობს კონფლიქტის უცაბედი განახლების რისკს, რასაც სერიოზული გავლენა ექნება საქართველოზე, ლტოლვილთა დიდი ნაკადის შემოდინებიდან დაწყებული, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებზე კონფლიქტის გავრცელებით დამთავრებული.

მიუხედავად ამ რისკებისა და პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციებში განსხვავებებისა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანასა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის, მათ მაინც აკავშირებთ საერთო ისტორია და კულტურული თავისებურებები. გეოგრაფიულად და პოლიტიკურად საქართველოს ცენტრალური ადგილი უკავია რეგიონში. საქართველოს უერთიერთობები აზერბაიჯანსა და სომხეთთან არა მარტო მათ შორის დამაკავშირებელი ეკონომიკური და პოლიტიკური ხილია, არამედ ქმნის ევროპისკენ გამავალ უმნიშვნელოვანეს ტრანს-კავკასიურ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ კორიდორს.

დაბოლოს, რეგიონში ინტერესების მქონე უდიდეს აქტორებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევამ გამოააშკარავა ქართველების რამდენიმე საინტერესო დამოკიდებულება დასავლეთის ქვეყნების, უფრო ზუსტად კი აშშ და ევროკავშირის, მიმართ. ზოგადად, რეგიონის მოსახლეობას და მათ, ვისაც ადვილად არ მიუწვდება ხელი ინფორმაციაზე, ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ დასავლეთისა და საერთაშორისო საზოგადოებისადმი, რადგან ფიქრობენ, რომ დასავლეთი არასაკმარის აქტიურობას

იჩენს საქართველოს გაერთიანების საკითხში და ამავე დროს უპირობო მხარდაჭერას უცხადებს მთავრობას. პირველ საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეები კარგად იცნობენ მთავრობის მიზანს, რაც მდგომარეობს „დეოკუპაციაში“, და მის განცხადებებს, რომ დასავლეთი ამ მიზანს მხარს უჭერს, თუმცა ხელშესახები შედეგები არ ჩანს. მეორე საკითხთან დაკავშირებით, მთავრობა მნიშვნელოვან საეთერო დროს უთმობს დასავლეთის მხარდამჭერ განცხადებებს და პოზიტიურ შეფასებებს ისეთ საკითხებში, როგორცაა „თავისუფალი და სამართლიანი“ არჩევნები, მაგრამ ყურადღების მიღმა ტოვებს ნეგატიურ ან კრიტიკულ კომენტარებს. შედეგად ვიღებთ უნდობლობას დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, განსაკუთრებით რეგიონებში, რაც კიდევ უფრო აუცხოვებს მთავრობასა საზოგადოების ფართო ფენებს, ზრდის არასტაბილურობის რისკს და ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის მტრულად განწყობილ უცხოურ აქტორებს.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

ქართული საზოგადოების ამჟამინდელი პოლარიზაცია პოლიტიკურ საკითხებთან და მიმართულებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია მთავრობის არატრანსპარენტული მიდგომით პოლიტიკის შემუშავებისა და გადანყვეტილების მიღების პროცესებისადმი. პოლიტიკის შემუშავება მთავრობის პრეროგატივაა, მაგრამ დემოკრატიული მთავრობა, რომელიც რეაგირებს მოქალაქეთა მოთხოვნებზე, უნდა შეიმუშავებდეს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ჭეშმარიტად ასახავს მოქალაქეთა ხედვებს. ადეკვატური კომუნიკაციის არარსებობა პრობლემას კიდევ უფრო ართულებს. იმის გარდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების დიდ ნაწილი გრძობს, რომ გადანყვეტილებების მიღების პროცესს ჩამოშორებულია, მოსახლეობის ფართო სეგმენტი არ არის კარგად ინფორმირებული მთავრობის ბევრი გადანყვეტილების, პოლიტიკისა და მიზნის შესახებ. თავის მხრივ ეს კიდევ უფრო ამწვავებს საზოგადოების გახლეჩას და ზრდის შიდა კონფლიქტების, შესაბამისად ეროვნული არასტაბილურობის, რისკს. საქართველოს მშვიდობიანი განვითარებისთვის აუცილებელია საომოქალაქო კონსოლიდაცია მთავრობის ხელმძღვანელობით წარმართულ პროცესებში საზოგადოების ჩართვის გზით.

მონაწილეთა უმრავლესობის აზრსა და რჩევებზე დაყრდნობით, ჩვენ გთავაზობთ შეიქმნას სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი/პლატფორმა, რომელიც იმუშავებდა ზემოთ აღნიშნულ მწვავე საკითხების გადაჭრის გზებზე. ჩვენი აზრით ასეთი მექანიზმის ფარგლებში შესაძლებელია:

- მუშაობა საქართველოს მთავრობასთან მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების საკითხებზე კონსულტაციებისა და პარტნიორობის გზით. ეს გაზრდიდა ურთიერთნდობას და შექმნიდა ორმხრივი დიალოგის საშუალებას ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ხელისუფლებასა და ფორუმს (პლატფორმას) შორის მჭირდრო თანამშრომლობით ჩამოყალიბდება „სამოკავშირეო სისტემა“, რომელიც ქვეყანაში არსებული საკვანძო პრობლემების მოგვარებაზე მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის.
- ეროვნული და რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება, მათ შორის აქტიური მოქალაქეებისაც, რომლებიც არ არიან გაერთიანებულნი პოლიტიკურ ან სხვა სახის ორგანიზაციებში და აქვთ ცოდნა, გამოცდილება და სურვილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ პროცესებში.
- მუშაობა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე შესაბამისი სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების ეგიდით თემატურ ჯგუფებში, რომლებშიც შევლენ შესაბამისი სფეროების ექსპერტები, სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, იმ მიზნით, რომ დახმარება გაუწიონ მთავრობას პოლიტიკის ჩამოყალიბებაში; ამავე დროს გააფრცვლონ ინფორმაცია ფართო საზოგადოებაში და კოორდინაცია გაუწიონ სამუშაოებს რეგიონულ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ქსელის მეშვეობით
- ასეთი მიდგომა არ დაასუსტებს მთავრობას, ფართო კონსულტაციები კი არ შეაფერხებს პროგრესს. პირიქით, სწორად ჩამოყალიბებული სტრუქტურებით შესაძლებლობას მისცემს სამოქალაქო საზოგადოებას აიღოს პასუხისმგებლობა ისეთ საკითხებზე, რაც მას მას უკეთ ხელეწიფება.
- მნიშვნელოვანია, რომ ამ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა იყოს ღია ფორუმის/პლატფორმის ყველა წევრისათვის, ვისაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება და ინეტერესი კონკრეტული საკითხისადმი.
- ასეთი მიდგომით შესაძლოა ამაღლდეს უცხოური ფონდების ეფექტურობა, რადგან ეს გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვას და კავშირს მთავრობის პროგრამებთან და მიზნებთან. ეს ასევე ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონორების ინფორმირებას პრიორიტეტებისა და შესაბამისი ადგილობრივი პარტნიორების შესახებ.

### **თავი 3. მონაცვლადი ჯგუფები: ეროვნული უმცირესობები** **გიორგი სორდია**

როგორც რეზიუმეშია აღნიშნული, ეს მოხსენება მომზადებულ იქნა ფოკუს ჯგუფებისა და სხვა შეხვედრების შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა თბილისსა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების, უმცირესობათა ჯგუფების თუ ხელისუფლების წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო გამოგვეჩატა ქართული საზოგადოების სხვადასხვა სექტორის მრავალფეროვანი შეხედულებები და მიდგომები. მართალია მოხსენება არ არის ყოვლისმომცველი, თუმცა ის გამოხატავს საქართველოში გაბატონებული დამოკიდებულებების და შეხედულებების, ის ასევე შეიცავს დასკვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ შემდგომი კვლევის, დისკუსიების თუ ერთობლივი ქმედებების ინიცირებისათვის.

#### ***ეროვნული უმცირესობები საქართველოში - ზოგადი მიმოხილვა***

ისტორიულად საქართველო მრავალი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის სამშობლოა. მოსახლეობის აღწერის 2002 წლის მონაცემების მიხედვით ეროვნული უმცირესობები შეადგენენ საერთო მოსახლეობის 16%-ს. ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს საქართველოში წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6,5%), და სომხები (5,7%), სხვა ეთნიკური ჯგუფები კი, რომლებიც საერთო ჯამში 4 %-ს შეადგენენ არიან ოსები, რუსები, ბერძნები, ქურთები, ასირიელები, ჩეჩნები (რომლებიც საქართველოში ქისტების სახელითაც არიან ცნობილი), ებრაელები, უკრაინელები, პოლონელები და სხვები. ზერბაიჯანელები და სომხები ძირითადად კონცენტრირებული არიან ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, თუმცა ასევე საკმაოდ კარგად არიან წარმოდგენილები კახეთის და შიდა ქართლის რეგიონებსა და ქალაქებში თბილისსა და ბათუმში.

განსხვავებულია ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის დონე სხვადასხვა რეგიონების მიხედვით. იმ რაიონებში სადაც ეროვნული უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ მთავარი პრობლემა პირდაპირ უკავშირდება ქართული ენის ცოდნის დონეს. საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგად ეთნიკური სომხები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებში

ცხოვრობენ და ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის და წალკის რაიონებში არიან წარმოდგენილები ძირითადად იყენებენ რუსულ ენას საკუთარი რეგიონების გარეთ კომუნიკაციის დროს. რუსული ენა ასევე არის ავდილობრივი საჯარო ადმინისტრაციის ენა, თუმცა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ცენტრში იგზავნება ქართულ ენაზე ითარგმნება. მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და ორივე რეგიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ოფიციალურ, სახელმწიფო ენაზე ვერ საუბრობს, რაც მათი ინტეგრაციისათვის ხელისშემშლელ მთავარ ფაქტორად რჩება.

სახელმწიფო ენის ფლობის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ეროვნული უმცირესობების დისპერსულ დასახლებებში, განსაკუთრებით კი თბილისში, სადაც ეროვნულ უმცირესობათა უმეტესობა კარგ დონეზე, ხშირ შემთხვევებში კი მშობლიური ენის დონეზე ფლობენ ქართულ ენას, თუმცა ეს ფაქტორი მაინც არ უზრუნველყოფს მათთვის ინტეგრაციის პრობლემის სრულ მოგვარებას, სახელმწიფო ენის ფლობა მათ მნიშვნელოვანწილად ეხმარებათ სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობების წარმოებაში, უადვილდებათ ეკონომიკური ურთიერთობები, თუმცა რაც შეეხება სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობას თუ წარმომადგენლობას ეროვნული უმცირესობები დედაქალაქში და სხვა დიდ ქალაქებში მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან.

განსხვავებული იყო აგრეთვე უახლესი ისტორიის მანძილზე ეროვნულ უმცირესობათა მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება. საბჭოთა პერიოდში სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებლობა მნიშვნელოვან პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან როგორც ქართველები, ასევე ეროვნული უმცირესობები საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ, ხოლო რუსული ენა კი მათ ბუნებრივ გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლამ მთელი სიმწვავეით დააყენა ეთნიკური საკითხი, სამწუხაროდ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფო, კერძოდ კი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა გაეტარებინა, პირიქით ეროვნული უმცირესობები აღქმულ იქნენ ახლადჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოებრიობისათვის საფრთხის მატარებლებად, რამაც შედეგად გამოიღო 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ათასობით ეროვნული უმცირესობების საქართველოდან გადინება, განსაკუთრებით ეს პროცესები შეეხო ოსურ მოსახლეობას, რომელთაც ხშირ შემთხვევაში ძალის გამოყენებით მოუწიათ საკუთარი სახლების და მთელი დასახლებების თუ სოფლების

დატოვება. ეროვნული უმცირესობებისათვის 1990-იან წლებში არახელსაყრელი პირობების შექმნას ნათლად ადასტურებს მოსახლეობის აღწერის შედეგები, მაგალითად თუ 1989 წლის საბჭოთა აღწერის მონაცემებით ეროვნული უმცირესობები საქართველოში შეადგენდნენ 23%-ს, 2002 წლისათვის იგივე მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა და შეადგინა 16,2%.

ეროვნული უმცირესობების მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა 1992 წელს ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თუმცა რაიმე სახის თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწობდა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს არც მაშინ გატარებულა. ეროვნულ უმცირესობათა მრავალი თემი კვლავ იზოლირებულ მდგომარეობაში რჩებოდა, ვერ მოხდა მათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა, ხოლო მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არაადეკვატურად ხდებოდა. ზოგიერთი თემები კი, როგორც არიან ბოშები იქნენ მარგინალიზებულნი და აბსოლუტურად დაუცველნი.

ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის გაღრმავების კუთხით უმნიშვნელოვანესია სწორი და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და კულტურული მრავალფეროვნების მართვის ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება. მთავრობის მხრიდან ასეთი პოლიტიკის გატარების საჭიროება განსაკუთრებით იქნა გაცნობიერებული “ვარდების რევოლუციის” შემდგომ, თუმცა საწყის ეტაპზე ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის მიმართული პოლიტიკა და შესაბამისი ინსტიტუციური მართვა არათანმიმდევრობით ხასიათდებოდა, რაც გამოიხატებოდა რამდენიმე პარალელური სტრუქტურის არსებობით, მათი მოვალეობების და მანდატის ხშირი ცვლით და ინტეგრაციის ერთიანი გეგმის თუ პროგრამის არარსებობით.

პირველი სერიოზული და თანმიმდევრული ნაბიჯები ამ თვალსაზრისით 2006 წლის შემდგომ გადაიდგა, მას შემდეგ რაც ძალაში შევიდა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული კონვენცია, რამაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა როგორც სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბებას, ასევე ეროვნულ უმცირესობათა ინსტიტუციური მართვის გაუმჯობესებას. 2008 წლიდან ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელება ევალება სახელმწიფო მინისტრის აპარატს რეინტეგრაციის საკითხებში, ამას გარდა, საქართველოს მთავრობაში 2005 წლიდან

არსებობს საკონსულტაციო უწყება, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო, რომლის საქმიანობასაც კოორდინაციას უწევს პრეზიდენტის მრჩეველი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს მუშაობის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის 8 მაისის პრემიერ-მინისტრის №348 დადგენილებით მიღებული, შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. თავისი მნიშვნელობით კონცეფციის მიღება გარდამტეხ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ქმნის შესაბამის პირობებს ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხებში ეროვნული პოლიტიკის შემუშავების, თანმიმდევრული მექანიზმების შექმნის და მრავალმხრივი გადანაცვტილებების მიღებისათვის.

კონცეფცია ეფუძნება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპულ ჩარჩო კონვენციას და საქართველოს კონსტიტუციას. კონცეფციის მთავარი მიზანია, „დემოკრატიული, კონ სო ლიდი რე ბული და საერ თო ღირებულებებზე დაფუძ ნე-ბული სამოქა ლაქო სა ზო გა ღოების შექმნის ხელშეწყობა, რო მელიც მრავალ-ფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მი იჩ ნევს და ყველა მოქალაქეს უბ რუნ-ველყოფს საკუთარი იღენ ტობის შენარჩუნებისა და განვითა რების შესაძლებ-ლობით“. კონცეფციის მოქმედების არეალი ექვს მიმართულებას მოიცავს: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედიას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკურ ინტეგრაციას და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებების მიხედვით დაგეგმილი აქტივობებისათვის სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა. კონცეფცია შეიქმნა ფართო მონაწილეობითი პროცესისა და დაინტერესებული მხარეების კონსენსუსისა და პროცესში ჩართვის შედეგად, რომელშიც ეროვნული უმცირესობების თემის და ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიოდა, რაც სასურველი შედეგის მიღწევის წინაპირობას ქმნის. კონცეფცია თვისობრივად საკმაოდ მოქნილია და მიუხედავად იმისა, რომ მოხდა მისი საბოლოო დამტკიცება, სავარაუდოა, რომ რეკომენდაციებზე დაფუძნებით გარკვეული ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა მომავალშიც შესაძლებელი იქნება.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველის როლი ეროვნული უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაიზარდა. სახალხო დამცველი, როგორც საქართველოში ადამიანის



უფლებების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტი, ყოველთვის იყო ჩართული ეროვნული უმცირესობების პრობლემების გადაჭრაში, მაგრამ ამ კუთხით მისი მნიშვნელოვნად გაფართოვდა მას შემდეგ, რაც 2005 წლის დეკემბერში – სპეციალური, მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანო - ეროვნულ უმცირესობათა საბჭო დაფუძნდა. ეროვნულ უმცირესობათა საბჭო თავს უყრის ქვეყანაში მოქმედ ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციების უმრავლესობას, განსაკუთრებით მათ ვინც თბილისში საქმიანობენ და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კონსულტაციებსა და თანამშრომლობის გაღვივებას ეროვნულ უმცირესობებსა და მთავრობას შორის. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს როლი უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია. როგორც ეროვნულ უმცირესობათა გამაერთიანებელი სტრუქტურა და უმცირესობების საკითხებში მთავარი საკონსულტაციო ორგანო, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო მიიჩნევა, როგორც სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში მონიტორინგის გამწვევი ორგანოდ და მთავრობასთან უმცირესობების ინტეგრაციის და დაცვის მიმდინარე საკითხებზე საკონსულტაციო უწყება

### ***ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობა და წარმომადგენლობა***

სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის დონის განსაზღვრის ერთ-ერთი უმთავრესი პრიტერიუმია. საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებულია მთელი რიგი დებულებები, რაც ადეკვატურ პირობებს ქმნის სამართლებრივ დონეზე ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციისათვის. მაგალითისათვის საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ითვალისწინებენ მოქალაქეთა განწევრიანებას ნებისმიერ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გაერთიანებაში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მიუხედავად მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. ერთადერთ შეზღუდვას აწესებს კანონი პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, რომლის მე-6 მუხლის მიხედვით, იკრძალება პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით.

ამასთანავე საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს სახელმწიფო სამსახურში ეთნიკური ნიშნით წარმომადგენლობის კვოტებს. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გახდეს საჯარო მოხელე თუ მას აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება და

მი აღწია 21 წლის ასაკს. ერთადერთი შეზღუდვა ამ თვასაზრისით რასაც საჯარო სამსახურის შესახებ კანონი აწესებს არის სახელმწიფო ენის ფლობა, იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზეც, სადაც “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, არჩეულ იქნან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილებისა, თუმცა იგივე კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო ენაა ქართული.

როგორც ვხედავთ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო ენის ფლობა აუცილებელი პირობაა ნებისმიერი მოქალაქისათვის საჯარო სამსახურში დასაქმებისათვის როგორც ცენტრში, ასევე რეგიონულ დონეზე. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კი სახელმწიფო ენის არცოდნა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ეროვნულ უმცირესობათა დასაქმების კუთხით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ეს მოთხოვნა არც სამცხე-ჯავახეთში დ არც ქვემო ქართლში ბოლომდე არ სრულდება განსაკუთრებით ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის წარმოების ენად ქართულის გამოყენების თაობაზე. რეალურად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალქალაქისა და ნინოწმინის რაიონებში საქმისწარმოების ენად რუსულია დამკვიდრებული, თუმცა დოკუმენტაცია დედაქალაქში ქართულად იგზავნება. პოლიტიკურ მონაწილეობაში თუ ვიგულისხმებთ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობას სხვადასხვა დონის სამთავრობო თუ ზოგადად სახელისუფლებლო ორგანოებში აღმოჩნდება, რომ ეროვნული უმცირესობები არასათანადო პროპორციით არიან წარმოდგენილები ყველა დონის ცენტრალურ თუ ადგილობრივ სტრუქტურებში.

### ***ეროვნული უმცირესობები საქართველოს პარლამენტში***

უკანასკნელი, 2008 წლის მონვევის პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა სულ ექვსი წარმომადგენელია, რაც მნიშვნელოვანი კლებაა წინა მონვევის პარლამენტებთან შედარებით, მაგალითისთვის 2004-2008 წლის მონვევის პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა თორმეტი წარმომადგენელი იყო, ხოლო, კიდევ უფრო ადრე 1999-2004 წლის მონვევის პარლამენტში კი მათი რაოდენობა თექვსმეტს შეადგენდა. საქართველოს პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა ასეთი მცირე დოზით წარმომადგენლობა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია იმისა, რომ ეროვნულ უმცირესობათა მიერ დასახლებული რეგიონების პრობლემატიკა და ზოგადად ინტეგრაციის საკითხი ცენტრალურ ხელისუფლებაში ნაკლებად განიხილება.

მით უმეტეს, რომ ტრადიციულად ეროვნული უმცირესობები საქართველოს პარლამენტში პასიურობით გამოირჩევიან და ნაკლებად ერევიან როგორც პოლიტიკურ დებატებში, ასევე კანონშემოქმედებით პროცესში. მთავარი მიზეზი ამისა ისევ და ისევ სახელმწიფო ენის სუსტად ფლობაა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ეროვნული უმცირესობები არ არიან ჩართული საჯარო პოლიტიკურ პროცესებში, მინიმალურ დონეზე დასული მათი წევრობა და აქტიური მოღვაწეობა ეროვნული მნიშვნელობის პოლიტიკურ პარტიებში, რაც შესაბამისად ასახვას ჰპოვებს ხოლმე წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების მხრიდან თავიანთ პარტიულ სიებში ეროვნულ უმცირესობათა იგნორირებაში. ასე მაგალითად 2008 წლის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარ პარტიულ სიებში სულ ეროვნულ უმცირესობათა 55 წარმომადგენელი გაითვალისწინეს. ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიას კი, ქრისტიანულ-დემოკრატიულ მოძრაობას 161 კაციან პარტიულ სიაში არც ერთი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი არ ყავდა შეყვანილი. კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე მეტი, რვა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი საკუთარ საარჩევნო სიაში ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ყავდა შეყვანილი, თუმცა პირველი მათ შორის მხოლოდ 29-ე ნომრად იყო წარდგენილი, მომდევნო კანდიდატი კი 31-ედ. ხოლო დანარჩენები კი 50-ე ნომრის შემდეგ. ამ თვალსაზრისით შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო სია, რომელშიც ეროვნულ უმცირესობათა ხუთი წარმომადგენლიდან სამს შედარებით მაღალი საარჩევნო ნომერი ჰქონდა მინიჭებული.

გასათვალისწინებელია, რომ თავად ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ნაკლები მოტივაციის და აქტიურობის გარდა თავად ქართული პოლიტიკური სპექტრიც პასიურია ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის უზრუნველყოფის და ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის მხარდაჭერაში. ამ კუთხით ჩვენ შევისწავლეთ 2008 წლის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამები და დებულებები, აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილე თორმეტი პოლიტიკური სუბიექტიდან მხოლოდ ორს ჰქონდა გათვალისწინებული ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობის და სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერის საკითხები საკუთარ მიზნებად დასახული. ეს პარტიები იყვნენ რესპუბლიკური პარტია და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, თუმცა პარადოქსალურად ამ უკანასკნელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეროვნული უმცირესობები საერთოდ არ ყავდა შეყვანილი საკუთარ საარჩევნო სიაში. ამას გარდა

საყურადღებოა, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები ნაკლებად ცდილობენ აწარმოონ საკუთარი პოლიტიკური და საარჩევნო საქმიანობა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, რადგან ტრადიციულად ეს რეგიონები სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერებად ითვლებიან, თუმცა მათი მხრიდან ამ რეგიონების იგნორირება ხელს უწყობს არასათანადო წინასაარჩევნო გარემოს შექმნას, რაც საბოლოო ჯამში რეგიონებში პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

მიუხედავად იმისა რომ არ არსებობს სამართლებრივი ბარიერები ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშესაშლელად, ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩართულობის დონე უკიდურესად დაბალია. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა უკიდურესად დაბალია საქართველოს პარლამენტში და ადგილობრივ დონეზე, შედეგად უმცირესობათა გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დაბალია. ეროვნული უმცირესობები ნაკლებად არიან ჩართულები აღმასრულებელ ხელისუფლებაში, პოლიტიკურ პარტიებში და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაში.

### ***ეროვნული უმცირესობები ადგილობრივ საკრებულოებში***

საკრებულოების დონეზეც ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური წარმომადგენლობა ადეკვატურად არ არის ასახული. მაგალითისათვის 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად ეროვნულ უმცირესობათა მაჟორიტარული წესით წარმომადგენლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით 9,2%-ს შეადგენს, ხოლო პროპორციული წესით კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია და შეადგენს 6,5%-ს. რეგიონალ დონეზე ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილები არიან მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, ხოლო დიდი ქალაქების საკრებულოებში კი, სადაც ეროვნული უმცირესობები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ, კერძოდ თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქობულეთი, ეროვნული უმცირესობები საერთოდ არ არიან წარმოდგენილები. ტრადიციულად ეროვნული უმცირესობები სათანადოდ არიან წარმოდგენილები მათი კომპაქტურად დასახლების რეგიონებში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით, სომხები ადეკვატურად არიან წარმოდგენილები ახალქალაქის, ნინოწმინდისა, ახალციხის, წალკის და მარნეულის საკრებულოებში, მაშინ როდესაც აზერბაიჯანელთა პოლიტიკური წარმომადგენლობა, რომლებიც სომხებთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობით ცხოვრობენ საქართველოში გაცილებით დაბალია და შეადგენს 3,7%-ს ქვეყნის მასშტაბით.

## **ეროვნულ უმცირესობათა თემების მარგინალიზაცია**

როდესაც ვსაუბრობთ ეროვნულ უმცირესობათა გარკვეული ნაწილის მარგინალიზაციაზე ძირითადად იგულისხმება ბოშათა, მოლდაველთა, მოხეტიალე ქერთულენოვანი მოსახლეობის და ზოგადად “ბოშების” საერთო სახელმწოდებით გაერთიანებული თემები. უკიდურესი სიღარიბე, უმუშევრობა, განათლების და ჯანდაცვის მწირი ხელმისაწვდომობა, იზოლირება ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისაგან, დოკუმენტაციის არქონა წარმოადგენს მათ ძირითად პრობლემებს.

ამას გარდა უკიდურესად დაბალია როგორც ბოშათა სამოქალაქო თვითშეგნება და მონაწილეობის ხარისხი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც გამოიხატება მათი მხრიდან არჩევნების პერმანენტული იგნორირებით, უნდობლობით როგორც ხელისუფლების, ასევე ფართო საზოგადოების მიმართ. არანაკლები სიმწვავის პრობლემას წარმოადგენს ორივე დასახელებული ჯგუფის სრული იზოლირება მიმდინარე სახელმწიფო სოციალური პროგრამებიდან. თემის არც ერთ წევრს არა აქვს ინფორმაცია მათი სამოქალაქო უფლებების შესახებ და შესაბამისად ვერ სარგებლობენ კანონით განსაზღვრული შეღავათებით, იქნება ეს საპენსიო უზრუნველყოფა, ექიმის მომსახურება, განათლების უფლება თუ სხვა. თემის ძირითადი ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი საქმიანობა შემოიფარგლება წვრილი ვაჭრობით, ან მათხოვრობით. საგულისხმოა, რომ ასეთი მწვავე პროპლემის მიუხედავად არ არსებობს არანაირი სახელმწიფო პროგრამა ან ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობდა ბოშათა და მოლდაველთა სამოქალაქო მონაწილეობის წახალისებას და ინტეგრირების ხელშეწყობას. მართალია სახელმწიფომ მიიღო და ახორციელებს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის კონცეფციას, თუმცა არც ბოშები და არც მოლდაველები მის განხორციელებაში გათვალისწინებული არ არიან. ძირითადი ფაქტორები კი რაც განაპირობებს მათ მარგინალიზაციას არის საშუალო და უმაღლესი განათლების არქონა, გარკვეულ შემთხვევებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის არარსებობა, იზოლირებული ცხოვრების წესი, უმუშევრობა და საზოგადოების მხრიდან დამოკიდებულება, რასაც არაკეთილგანწყობილი ხასიათი აქვს. უკანასკნელ პერიოდამდე ბოშათა ოჯახებიდან მხოლოდ რამდენიმე ბავშვი დადიოდა სკოლაში, რომლის ძირითადი მიზმიც მშობლების მხრიდან სკოლის და განათლების მნიშვნელობის გაუაზრებლობაა. მშობლებს გაცილებით ურჩევნიათ ბავშვები სამათხოვროდ ან სავაჭროდ გაგზავნონ ვიდრე სკოლაში. სკოლაში სიარულის შემთავრებელი ფაქტორი ასევე არის ბავშვებისათვის დაბადების მონუმენტების არქონა.

ბოშათა თემის მარგინალიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იზოლაცია და სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში ყოფნაა. ბოშათა ტრადიციული ცხოვრების წესიდან გამომდინარე თემს ყოველთვის ნაკლები შეეხება ჰქონდა გარესაზოგადოებასთან, ხოლო ქუჩის ვაჭრობა და მათხოვრობა, რომელიც საზოგადოების მხრიდან აღიქმებოდა, როგორც ბოშათა საქმიანობის ძირითადი სფერო, თავის მხრივ იწვევდა საზოგადოების გაღიზიანებას და უნდობლობას ბოშების მიმართ. საჭიროებები განსხვავებულად შეიძლება შეფასდეს ეთნიკური ჯგუფების მიხედვით, და ასევე შიგნით ეთნიკურ ჯგუფებში მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მაგალითისათვის ბოშათა იმ თემებში სადაც სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა სავაჭრო საქმიანობის შედეგად შედარებით გაუმჯობესდა მოსახლეობა განათლების მიღების აუცილებლობასა და საბავშვო ბაღების გახსნაზე არის ორიენტირებული, მაშინ როდესაც თელავის ბოსათა თემი მძირე საცხოვრებელი პირობების გამო გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფებიან.

მოლდაველთა თემს ბოშებისაგან განსხვავებით სოციალური-ეკონომიკური და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები მეტ-ნაკლებად მოგვარებული აქვს, თუმცა ამის მიუხედავად განათლებაზე უფრო მეტად ისევ სამუშაო ადგილების, ძირითადად სავაჭრო ადგილების პრობლემა აღელვებთ, რაც მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

ქერთულენოვან მოხეტიალე ეთნიკურ ჯგუფს რაც შეეხება, ყველაზე დრამატული სიტუაცია სწორედ მათთან გვხვდება, რომელთაც თელაველი ბოშების მსგავსად ელემენტარული ცხოვრების პირობებიც არ გააჩნიათ, თუმცა ბოშებისაგან განსხვავებით ისინი არც ერთ სხვა საქმიანობას გარდა მათხოვრობისა მისაღებად არ მიიჩნევენ, შესაბამისად არანაირი სხვა საჭიროების აუცილებლობას არ გრძნობენ და არც არაფერს ითხოვენ.

ამას გარდა ყველა ზემოაღნიშნული დასახლების მცხოვრებთათვის საერთო საჭიროებას წარმოადგენს დოკუმენტაციის (დაბავების მოწმობები და პირადობის მოწმობები) პრობლემის მოგვარება, რომლის არქონაც თემის გარკვეული წევრების მიერ იწვევს სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური პროგრამებიდან ამოვარდნას და ბავშვების საშუალო განათლების გარეშე დატოვებას.

### ***ეროვნულ უმცირესობათა განათლების სფეროში არსებული საჭიროებები***

ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების კუთხით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ადეკვატური განათლების შეთავაზება

და სახელმწიფო ენის სწავლების პროცესის მხარდაჭერაა. ეს არის ასევე შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება. კონცეფციის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, კერძოდ სპეციალური პროგრამების განხორციელებას ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების განვითარებისათვის, მათ შორის სასკოლო დონეზე ადგილობრივი ახალგაზრდების მომზადებას უმაღლესი განათლებისათვის. ამ ზომების განხორციელება მოითხოვს მულტილინგვური განათლების პოლიტიკის ოპტიმიზაციას და შესაბამისი სახელმძღვანელოების თარგმნას ეროვნულ უმცირესობათა ენებზე.

ეროვნული უმცირესობებისათვის ადეკვატური საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეთავაზება ქვეყანაში მიმდინარე ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა იკვეთება მთელი რიგი პრობლემები რაც ხელს უშლის ამ სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლის განხორციელებას. ეროვნული უმცირესობების მიერ განათლების მიღება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ენის სწავლებას, ამ კუთხით ამჟამად მიმდინარე ცვლილებები არასაკმარისია, რაც გამოიხატება იმაში, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული ენის ფლობის ხარისხი ეროვნულ უმცირესობებში მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა, რაც დაკავშირებულია როგორც არასრულყოფილი სახელმძღვანელოების არსებობით, ასევე მეტწილად არაკვალიფიციური პედაგოგიური შემადგენლობის ფაქტორით. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები პოზიტიურად აფასებენ ბილინგუალური განათლების სისტემის დანერგვას, თუმცა ეს მოდელს ჯერ კიდევ პოლოტური ხასიათი აქვს და მასიურად არ არის დანერგილი.

### ***ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში არსებული საჭიროებები***

უკანასკნელ წლებში სახელმწიფო პოლიტიკა ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვალა პოზიტიური კუთხით, თუმცა კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი საჭიროებები და მიმართულებები, კერძოდ, მრავალფეროვნების მართვის კუთხით ხელისუფლებას მკაფიო პოზიცია გააჩნია ეროვნულ უმცირესობებით ტრადიციულად დასახლებული რეგიონების მიმართ, მაშინ როდესაც ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ რეგიონებს, სადაც ეროვნული უმცირესობები არიან წარმოდგენილები, მაგრამ არა კომპაქტური დასახლებების სახით, ასეთი რეგიონებია კახეთი, შიდა ქართლი, აჭარა. ასეთი უყურადღებობა

ინვეს ამ რეგიონებში მცხოვრები მცირერიცხოვანი ეროვნული ჯგუფების ასიმილაციის პროცესის დაჩქარებას და მათი თვითმყოფადობის თანდათანობით დაკარგვას, კერძოდ ასეთ ჯგუფებად შეგვიძლია მივიჩნიოთ უდიები, ავარები, ოსები, ასურელები, აფხაზები. ამავე კონტექსტში შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ მრავალფეროვნების მართვის ინსტიტუციურ განვითარებაზე აჭარის რეგიონში, სადაც “მეგობრობის სახლის” სახით არსებობს ეროვნულ უმცირესობათა საკონსულტაციო სტრუქტურა, თუმცა მისი ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან მას არ გააჩნია გადანყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა და მხოლოდ ფორმალურად წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების გამომხატველ სტრუქტურას. საქართველოს ხელისუფლების დონეზე ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკის გატარების მხრივ უმნიშვნელოვანეს საჭიროებას წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება, კერძოდ ეს შეეხება კანონის მიღებას ეროვნულ უმცირესობათა შესახებ და უმცირესობათა და რეგიონული ფენების ევროპული ქარტიის ჯერ ხელმოწერა, ხოლო შემდეგ კი მისი რატიფიცირება პარლამენტის მიერ.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

საქართველოში სახელისუფლებლო დონეზე მთელი რიგი სტრუქტურები არსებობენ, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ჩართულები არიან ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინსტიტუტთაგან უმრავლესობა 2004 წლის შემდეგ დაარსდა, რაც მკაფიოდ მიუთითებს საქართველოს მთავრობის ნებაზე გააუმჯობესოს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხი.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიღებამ, თეორიულად, ეროვნულ უმცირესობათა საკითხების შესახებ თანმიმდევრული და ადეკვატური ინსტიტუციური სისტემა ჩამოაყალიბა. დასახული მიზნების შესრულება მთლიანადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდება პრაქტიკული მნიშვნელობის მექანიზმები, და აღსრულების პროცესში, რამდენად მოხდება უწყებებს შორის კოორდინაციული ქმედებები. ამას გარდა მთელი რიგი წინსვლებია დაფიქსირებული ეროვნულ უმცირესობათა მიერ დასახლებული რეგიონების ეკონომიკურად გაძლიერებისათვის, განხორციელდა როგორც ძირითადი, ასევე შიდა გზების სრული რეაბილიტაცია, რაიონული ცენტრებსა და სიფლების უმეტესობაში გაყვანილ იქნა გაზის მილები, ელექტრომომარაგებაც ამჯამად უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს უმეტესი რაიონებისა და სოფლებისათვის.



უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეული წინსვლის მიუხედავად ადგილობრივი თემების მრავალმა წევრმა, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა განსაზღვრეს მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვასა და ინტეგრაციასთან, მათ შორის:

- ზოგადად ეროვნული უმცირესობები არ არიან ადეკვატურად წარმოდგენილები მთავრობასა და სახელმწიფო ინსტიტუტებში როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალ და ადგილობრივი დონეებზე. დაბალი წარმომადგენლობა და ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისაგან გამოთიშვამ შესაძლოა გარკვეული დაძაბულობა წარმოშვას ეროვნულ უმცირესობათა თემებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ.
- ეროვნულ უმცირესობათა დიდ თემებში, კერძოდ აზერბაიჯანელები ქვემო ქართლში და სომხები სამცხე-ჯავახეთში ინფორმაციის ნაკლებობა ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ გამოწვეულია საგანმანათლებლო შესაძლებლობების სინირით როგორც სახელმწიფო ენის სწავლის კუთხით, ასევე უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.
- კულტურული იდენტობა და მემკვირეობა გარკვეული საფრთხის წინაშე დგას ისეთ მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებში როგორებიც არიან უდინები, ავარები, ოსები, ასურელები, აფხაზები, რაც საჭიროებს მათი დაცვისა და განვითარებისათვის დამატებითი ზომების მიღებას.
- არსებობენ უკიდურესად მარგინალიზებული და იზოლირებული თემები როგორებიც არიან ბოშები, ქურთულენოვანი მოხეტიალე მოსახლეობა და მოლდაველები, რომელთაც არ გააჩნიათ ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, განათლების მიღების შესაძლებლობა და პრიმიტიულ სანიტარულ პირობებში უწევთ ცხოვრება. მრავალი მათგანი არ ფლობს პირადობის და სხვა დოკუმენტებს და არ გააჩნიათ არანაირი ინფორმაცია სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა უფლებებზე.

აღნიშნული დასკვნების და კვლევის მონაწილეთა რჩევების გათვალისწინებით შემდეგი რეკომენდაციები იქნა შემუშავებული, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ

იქნას ზოგად სახელმძღვანელოდ ეროვნულ უმცირესობათა უფრო ეფექტური ინტეგრაციის პროცესში.

*ზოგადი რეკომენდაციები*

- ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის განვითარების მიზნით სახელმწიფო პროგრამების შემუშავების დროს მაქსიმალურად გათვალისწინებულ იქნეს ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციების და წარმომადგენელთა მოსაზრებები და რეკომენდაციები;
- ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული ამათუ იმ საკითხის განხილვის თუ გადაწყვეტის დროს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა აქტიურად ითანამშრომლონ ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებთან, როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს რეგიონებში;
- შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელებისათვის საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს მაქსიმალური კოორდინაცია სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართული სხვადასხვა სტრუქტურებს შორის;
- შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების დროს გათვალისწინებულ იქნეს ეროვნულ უმცირესობათა და კულტურული მრავალფეროვნების მართვის ევროპული გამოცდილება;
- საქართველოს მთავრობამ გააგრძელოს მუშაობა 1999 წელს ევროსაბჭოს წინაშე აღებული სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებისათვის;
- ჩამოყალიბდეს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის შესრულების და ევროსაბჭოს წინაშე ანგარიშგების ეფექტური მექანიზმი;
- გაგრძელდეს საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები უმცირესობათა და რეგიონული ენების ევროპული ქარტიის შესახებ გათვითცნობიერების დონის ამაღლების მიზნით როგორც ხელისუფლების, ასევე ქართული სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეებით, აღნიშნული სახის შეხვედრების ჩატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში.

*პოლიტიკური მონაწილეობის გადრმავებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები*

- ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა გაააქტიურონ თავიანთი მუშაობა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ასევე საკუთარ პროგრამებსა და საარჩევნო დებულებებში გარკვეული ადგილი დაუთმონ სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემატიკას;
- ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის ამაღლების მიზნით პოლიტიკურმა პარტიებმა წახალისონ საკუთარ პარტიულ სიებში ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობა;
- კიდევ უფრო ხელშეწყობილ იქნას სახელმწიფო პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთა მომზადებას საჯარო სამსახურში დასაქმებისათვის

*განათლების შესაძლებლობების ამაღლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები*

- არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროგრამების დაფინანსების ზრდა და ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების წახალისება, რათა მათ შეძლონ კადრების მოზიდვა, სასწავლო მასალების უმცირესობათა ენებზე თარგმნა, საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობა;
- უმცირესობათა მშობლიური ენების მასწავლებელთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში. უმაღლესი სასწავლებლების პროგრამა დაფუძნებულ უნდა იქნას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებულ სომხური და აზერბაიჯანული ენის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.
- შეღავათების დანერგვა არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებული განათლების ფაკულტეტზე ან პროგრამაზე შემსვლელი აბიტურიენტებისთვის მისაღებ გამოცდებზე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დაფინანსებაში;
- ეროვნული უმცირესობებისათვის ბილინგუალური განათლების შემდგომი წახალისება წახალისება
- ინტერკულტურული განათლების კურსის სავალდებულო საგნად სწავლება მასწავლებელთა მომზადების ყველა პროგრამაში საქართველოში.

*ეროვნულ უმცირესობათა მარგინალურ ჯგუფებთან დაკავშირებული რეკომენდაციები*

მარგინალიზებული თემების პრობლემების დასაძლევად და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის მთავრობას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შემდეგი სახის რეკომენდაციებს ვუწევთ:

- საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის მასშტაბით მცხოვრებ მარგინალური ეთნიკურ ჯგუფებს ისეთივე უფლებები და სტატუსი უნდა შესთავაზოს, როგორც სხვა ეროვნული უმცირესობები სარგებლობენ და გაითვალისწინოს მათი პრობლემების მოგვარება თუ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხები ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმაში;
- შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა (იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრის სააგენტო) მოახდინონ დოკუმენტაციის (დაბადების და პირადობის მოწმობები) გარეშე მყოფი მოსახლეობის სრული აღწერა და აღნიშნული დოკუმენტების გაცემა;
- განათლების სამინისტრომ გაატაროს შესაბამისი ზომები ბავშვებისათვის საშუალო განათლების მიღების უზრუნველსაყოფად;
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო განვითარების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებმა შეიმუშაონ პროექტები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს მარგინალურ ჯგუფებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, გააცნობს მათ საკუთარ უფლებებს და ჩაუტარებს სამართლებრივ კონსულტაციას სხვადასხვა საჯარო სტრუქტურებთან ურთიერთობების მოსაგვარებლად;
- დონორმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოახმარონ ფინანსური შესაძლებლობები მარგინალური ეთნიკური ჯგუფების სათემო მობილიზაციას, ხელი შეუწყონ უკვე არსებული ორგანიზაციების განვითარებას.

*მრავალფეროვნების მართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები*

- მცირე თემებად და დანაწევრებულად მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით მთავრობამ მიიღოს შესაბამისი ზომები მათი ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის დაცვის მიზნით და წაახალისოს მრავალფეროვნება საჭიროებათა კვლევის საფუძველზე შედგენილი პროგრამების საფუძველზე;

- ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკის განხორციელების დროს ხელისუფლებამ თავის პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახოს ისეთი რეგიონების პრობლემატიკაც, როგორებიცაა კახეთი, შიდა ქართლი და აჭარა, და ასევე ისეთი ეთნიკური ჯგუფები როგორებიცაა ადინები, ავარები, ასურელები, ოსები, აფხაზები რომლებიც არიან ჩართულები არც ერთ სახელმწიფო პროგრამაში.

## თავი 4. ნდობის აღდგენა და კონფლიქტის ტრანსფორმაცია გიორგი ვოლსკი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს სიტუაციის ანალიზს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან - აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან - მიმართებაში იმ მიზნით, რომ გაირკვეს - როგორ შეიძლება შერიგების პროცესის უფრო ეფექტური წარმართვა.

როგორც რეზიუმეშია ღნიშნული, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ფართო და კონსულტაციური ხასიათის მქონე პროცესის შედეგს, რომელის მიზანაც იყო ქართული საზოგადოების სხვადასხვა სხვადასხვა ფენებში არსებული განსხვავებული პოზიციების წარმოჩენა და ასახვა. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა არ არის თემატურად ყოვლისმომცველი და არც დასკვნებია საბოლოო და ამომწურავი, ის მაინც ასახავს ამ პროცესის მონაწილეთა მრავალ განსხვავებულ აზრს და წარმოადგენს მომავალი დიალოგის, შესწავლისა და ერთობლივი ქმედების საწყის წერტილს.

### **შესავალი**

2008 წლის კონფლიქტის, ისევე როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების ისტორია, მიზეზები და შედეგები მრავალი კუთხითაა განხილული სხვა ავტორების ნაშრომებში. ამ სადავო ისტორიულ მოვლენებთან დაბრუნების ნაცვლად, გთავაზობთ განვიხილოთ ის, თუ როგორ უშლის ხელს კონფლიქტის შედეგები საქართველოს მშვიდობიან განვითარებას. გადაუჭრელი კონფლიქტების არსებობა საქართველოს სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს. ამ კვლევაში განვიხილავთ რამდენიმე მათგანს და გთავაზობთ ჩვენს მიდგომას მათი გადაჭრის გზებისადმი.

ბოლო სამი წლის მანძილზე კონფლიქტის განახლების საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილს, განსაკუთრებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლურ თემებში, მაინც აქვს სამხედრო შეტაკებების განახლების შიში. ამასთან ერთად, ჩვენი კვლევის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ კონფლიქტების საკითხმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ადგილი სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს (უმუშევრობა, სიღარიბე და სხვა) დაუთმო. ეს ცვლილება კონფლიქტური რეგიონების ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების გასწვრივ მცხოვრებ თემებშიც მოხდა, სადაც ბევრი მონაწილე აღნიშნავდა, რომ საკითხები, როგორცაა სახნავ-სათეს მიწებზე და სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც უსაფრთხო გარემოში ცხოვრება. იგივე პრობლემები აწუხებთ

იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) უმეტესობას. იმ მცირე გამონაკლისის გარდა, რომელიც დასაქმებულია საერთაშორისო პროექტებში, დევნილები დაკავებულნი არიან ყოველდღიური მძიმე საყოფაცხოვრებო პრობლემებით და აქტიურად ვერ მონაწილეობენ კონფლიქტების ტრანსფორმაციისა თუ შერიგების პროცესებში.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებით თემების წევრები აღნიშნავენ, რომ არასტაბილურობისა და საფრთხის გრძნობას ძირითადად ინფორმაციის ნაკლებობა წარმოშობს. მაგალითად, ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებს ან რუსული სამხედრო ძალები განსაზღვრავენ ან დე ფაქტო მთავრობები და „საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის“ დამსჯელ ზომებსაც აწესებენ. ბევრ ადგილას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზები არ არის განსაზღვრული ან იცვლება ხოლმე, და არც საქართველოს ხელისუფლება და არც რუსი სამხედროები ან დე ფაქტო მთავრობები არ აწვდიან მოქალაქეებს ინფორმაციას ადმინისტრაციული საზღვრების ან უსაფრთხო ადგილების შესახებ. რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს: მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისია განიხილება თართომასშტაბიანი შეტაკებების შემაკავებელ ფაქტორად, ადგილობრივი თემების წევრები მას მაინც არ განიხილავენ როგორც უსაფრთხოების უზრუნველმყოფის ან მასთან დაკავშირებული ყოველდღიური პრობლემების გადაჭრის ეფექტურ მექანიზმად.

ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, გაყოფილ თემებს შორის ურთიერთობები შედარებით აქტიურად მიმდინარეობს ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, განსაკუთრებით - გალის რაიონის და ახალგორის რაიონის საზღვრებთან. ამ ურთიერთობების მამოძრავებელი ძალა ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს ეთნიკური ქართველები არიან, თუმცა, სხვა ეთნიკურ თემებს შორისაც შეინიშნება საგრძნობი არაფორმალური და კონსტრუქციული ურთიერთობები. ეს ურთიერთობები ძირითადად ვაჭრობასა და ეკონომიკურ საქმიანობებზეა აგებული და, ზემოთ აღწერილი წინააღმდეგობების მიუხედავად, მცირემასშტაბიანი ბიზნესპროექტებიც კი ხორციელდება წარმატებით. იმის გარდა, რომ ეს საქმიანობა მასში ჩართული ადამიანებისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა, გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენასაც ემსახურება. უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად დაუცველობისა და საშიშროებისა, რაც გადაუჭრელ კონფლიქტებს ახლავს თან, გაყოფილ საზოგადოებებში არსებობს სურვილიც და რესურსიც, რომ ჰქონდეთ უშუალო კავშირი და ერთად გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში აღიქმება როგორც გაურკვეველობისა და წუხილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. დამოუკიდებელი მედიის შეზღუდული მოქმედება, განსაკუთრებით ქვეყნის პერიფერიაში, ქმნის გაურკვეველობასა და ხელს უწყობს სპეკულაციების გავრცელებას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმეტესობას გაუგონია „სახელმწიფო სტრატეგიისა“ და „სამოქმედო გეგმის“ შესახებ, ცოტამ თუ იცის მისი დეტალებისა და ინსტრუმენტების შესახებ. ამავე დროს, მოქალაქეებმა იციან, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე, თუმცა, ცოტა რამ იციან რეალურად მიმდინარე პროცესებზე. შესაბამისად, ზოგადი შთაბეჭდილება, განსაკუთრებით რეგიონებში, ისეთია, რომ საქართველოს მცდელობების მიუხედავად, დასავლეთი თავშეკავებით პასუხობს და პასიურობას იჩენს საქართველოს კონფლიქტების მოგვარებასა და პრევენციაში. კონფლიქტების თემა მედიაში მხოლოდ ქართულ-რუსული ურთიერთობების ჭრილში შუქდება, იშვიათად მიმდინარეობს ამ მნიშვნელოვან თემებზე ღია და ანალიტიკური დისკუსიები.

### **რუსეთის როლი და პოზიცია**

იმისათვის, რათა ბოლომდე გავიზაროთ საქართველოს წინაშე მდგარი რთული პრობლემები და ვნახოთ, როგორ შეგვიძლია ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესების წარმოება, პირველ ყოვლისა მკაფიო წარმოდგენა უნდა შევიქმნათ რუსეთის ფედერაციის როლსა მის ინტერესებზე. ჩვენ არ ჩავუღრმავდებით კონფლიქტების ისტორიას და შემოვიფარგლებით მხოლოდ ანალიზით, რომელიც ჩვენი კვლევის მონაწილეებმა გაგვიზიარეს. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის პოზიციასა და ინტერესებში შემდეგი ძირითადი ელემენტები გამოიკვეთა:

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგებით რუსეთის მთავრობამ მნიშვნელოვნად გაიმყარა პოზიციები და წინ წაინია სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფაში, როგორც ეს რუსეთის ფედერაციის 2020 წლამდე ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშია ასახული (სტრატეგია დამტკიცებულია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ 2009 წლის 12 მაისის დეკრეტით). სამხედრო ბაზების ყოფნას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთი „ორმხრივი შეთანხმებებითა“ და რუსეთის მოქალაქეებისა და ამ რეგიონების ადგილობრივი მოსახლეობის „საქართველოს აგრესიისაგან“ დაცვის საბაბით ამართლებს. ამ ბაზებით რუსეთმა ზურგი გაიმყარა ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემურ რეგიონებში. კვლევის რამდენიმე



მონაწილემ აღნიშნა, რომ რუსეთის არგუმენტების გასაბათილებლად საქართველომ უნდა წარმოადგინოს სოლიდური გარანტიები, რომ არ შეეცდება კონფლიქტის გადაჭრას ან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ძალისმიერი მეთოდებით. ზოგიერთი მონაწილის აზრით, რუსეთმა ფაქტობრივად დაბლოკა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი, კერძოდ ნატოში განწევრიანება.

არარეალისტურია იმის მოლოდინი, რომ რუსეთი შეურიგდება „ოკუპანტის“ იარლიყს და თავს ცნობს კონფლიქტის მხარედ. პირიქით, ის ცდილობს საკუთარი თავი წარმოაჩინოს უსაფრთხოების გარანტად ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში. საერთაშორისო საზოგადოებას არც ნება და არც საკმარისი ბერკეტები არ გააჩნია რუსეთის ამ პოზიციის შესაცვლელად, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან სამხედრო კონტინგენტის გაყვანაზე. პოლიტიკური იარლიყების მიწებებამ და კონფრონტაციულმა რიტორიკამ ფაქტობრივად გაყინა დიალოგი და სამშვიდობო პროცესი, რაც რუსეთის ინტერესებში შედის. თუმცა, მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, შესაძლებელია და აუცილებელიცაა სადავო პოლიტიკური საკითხების გვერდზე გადადება რეალური დიალოგის დანაშების მიზნით. ზოგიერთი მონაწილე „რუსეთზე ზენოლის“ მაგივრად „რუსეთთან დიალოგის“ აუცილებლობაზეც კი საუბრობდა.

არსებული სტატუს კვოს შენარჩუნება რუსეთის ინტერესებშია, რაც დემოკრატიული და სოციალური სურათის შეცვლის გზით, რეგიონების რუსიფიკაციას გულისხმობს (მაგალითად: რუსი სამხედროებისა და მომსახურე პერსონალის რაოდენობის გაზრდა).

ბევრი მონაწილე გამოხატავდა შეშფოთებას იმის გამო, რომ რუსეთი საქართველოს ეკონომიკის არაერთ სტრატეგიულ სექტორში ძლიერ ბერკეტებს ფლობს, რაც ორმხრივი ურთიერთობების გაუარესების შემთხვევაში რუსეთს დამატებითი ზემოქმედების საშუალებას მისცემს. ამავე დროს, მონაწილეები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ რუსეთს საქართველოში რეალური პოლიტიკური დასაყრდენი არ ჰყავს, თუმცა მის ინტერესებშია შიდა პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობის ხელშეწყობა. არ ჩავუღრმავდებით რუსეთის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების სიძლიერის ხარისხის შეფასებას, მაგრამ აღნიშნავთ, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას არ ესმოდა, თუ რატომ აძლევს საქართველოს მთავრობა რუსეთს საშუალებას კონტროლი განახორციელოს საქართველოს ზოგიერთ სტრატეგიულ ეკონომიკურ ინტერესზე. ამავე დროს, ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მმართველობის კონფრონტაციული სტილი იწვევს შიდა პოლიტიკურ

დაძაბულობას, რაც ხელს აძლევს რუსეთს თავისი სტრატეგიული ინტერესების განხორციელებაში.

### **აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი**

კვლევის ყველა მონაწილე იზიარებდა მოსაზრებას, რომ რუსეთი კონფლიქტის მთავარი მხარეა, ამასთანავე, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ალიარეზულნი უნდა იყვნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფლიქტის მხარეებად. მონაწილეები არ იზიარებდნენ საქართველოს მთავრობის მიდგომას, რომლის მიხედვითაც კონფლიქტი მხოლოდ საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის ჭრილში უნდა განვიხილოთ, რაც აფხაზებისა და ოსების კიდევ უფრო მეტ მარგინალიზაციას იწვევს. დიდი შეშფოთების საგანი იყო ოფიციალური რიტორიკა აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართ, განსაკუთრებული ისეთი ტერმინის გამოყენება, როგორცაა „მარიონეტული რეჟიმი“ - ეს ქმნის უსარგებლო ანტაგონიზმს აფხაზებთან და სამხრეთ ოსებთან და საზოგადოებებს ამორებს ერთმანეთისგან. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი - არა პოლიტიკური, არამედ როგორც კონფლიქტის მხარისა და დიალოგის პოტენციური მონაწილისა - იყო ჩვენი დისკუსიების მთავარი თემა.

სოხუმისა და ცხინვალის კონფლიქტის მხარეებად ალიარეზა კონსტრუქციული იქნებოდა მათი პირდაპირ დიალოგში ჩართვის კუთხით, რითაც თავიდან ავიცილებდით რუსეთის უშუალო გავლენას. თუმცა, მონაწილეთა შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა ამგვარი ალიარეზის ფორმისა თუ მექანიზმის თაობაზე. ზოგიერთი მონაწილის აზრით, სოხუმთან და ცხინვალთან „ორმხრივი“ შეთანხმებების გაფორმება გზას გაუხსნიდა დიალოგს მრავალ საკითხზე, მათ შორის საერთაშორისო უსაფრთხოების რეჟიმზე, სოციალურ-ეკონომიკური და სავაჭრო კონტაქტების ხელშეწყობა პირობებზე და, შესაძლოა, დევნილთა დაბრუნების თაობაზეც. რაც მთავარია, ბევრი მონაწილის აზრით, ამგვარი შეთანხმება გზას გაუხსნიდა საერთაშორისო ორგანიზაციების შესვლას ამ რეგიონებში.

ზოგიერთი მონაწილე ძალიან სკეპტიკურად იყო განწყობილი ამგვარი შეთანხმებების შედეგების მიმართ, რადგან ამით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არა მარტო დამოუკიდებლობისა და „ალიარეზის“ შეგრძნება გაძლიერდება, არამედ, შესაძლოა, პროვოკაციებსაც შეუწყოს ხელი. მომავალში ეს პროვოკაციები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საქართველოს დასადასაშაულებლად ვალდებულებების შეუსრულებლობაში და ახალი აგრესიის საბაზი გახდეს. გარდა ამისა, ბევრი მონაწილე ეჭვის თვალთ უყურებდა იმის შესაძლებლობას, რომ ასეთი შეთანხმებები გააჩენს ისეთი საკითხების

კონსტრუქციული განხილვის პოლიტიკურ ნებას, როგორცაა საერთაშორისო აქტორების ჩართვა და დევნილთა დაბრუნება.

რაც უფრო დიდხანს შენარჩუნდება გამოუვალი პოლიტიკური მდგომარეობა, მით უფრო გაიზრდება გაუცხოება, ერთი მხრივ, ქართულ და, მეორე მხრივ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს შორის. ამგვარად, რეგიონების გაუცხოების პროცესი შეუქცევადი გახდება არა მხოლოდ რუსული ოკუპაციის გამო, არამედ საზოგადოებებს შორის ნდობისა, კეთილი ნებისა და კონტაქტების არარსებობის გამო. მხარეების ოფიციალური რიტორიკა და პროპაგანდა უნდობლობასა და ანტაგონიზმს მხოლოდ აღვივებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებსა და აფხაზებს/ოსებს შორის არსებობს გარკვეული კონტაქტები და თანამშრომლობა, მათ შორის ეკონომიკურ და ვაჭრობის საკითხებში და სამშვიდობო ღონისძიებებში, ფორმალური კონფლიქტის მხარეებს შორის კავშირების არარსებობა იმის მაჩვენებელია, რომ ეს კავშირები ნებისმიერ მომენტში შეიძლება გართულდეს ან განწყდეს.

### ***საერთაშორისო კონტექსტი***

დაბოლოს, კვლევის მონაწილეებმა გამოხატეს საკუთარი აზრი იმ რთული საერთაშორისო კონტექსტის შესახებ, რომელშიც მიმდინარეობს კონფლიქტები, და შესაბამისად, კონფლიქტის ტრანსფორმაციაც. მიუხედავად იმისა, რომ შეხედულებები ძირითადად სპეკულატურ ხასითს ატარებდა, რაც ბუნებრივი მოვლენაა მგრძობიარე პოლიტიკურ საკითხებზე ოფიციალური ინფორმაციის დეფიციტის პირობებში, კვლევამ წარმოაჩინა საკითხების რიგი, რაც მთავრობისა და ძირითადი საერთაშორისო პარტნიორებისგან ადეკვატურ ჩარევას მოითხოვს.

კვლევის მონაწილეებს შორის არსებობს იმის შეგრძნება, რომ საქართველო კარგავს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას, რომელმაც თავის პიკს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ დემოკრატიული რეფორმების საწყის წლებში მიაღწია. მონაწილეებს შორის არსებობდა კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ საჭიროა მხარდაჭერა შეუქცევადი გახდეს, თუმცა, განსხვავებები იყო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მივალნიოთ ამას: უმეტესობა მიიჩნევდა, რომ მხარდაჭერის შეუქცევადობის მიღწევა შესაძლებელია დასავლური სტანდარტების ცხოვრებაში დანერგვით და მოლოდინების გამართლებით, ნაწილი კი თვლიდა, რომ საქართველომ უკვე დაამტკიცა, რომ არის დემოკრატიული ქვეყანა. ეს განსხვავებები პირდაპირ უკავშირდება ჩვენი კვლევის პროცესში დაფიქსირებულ აზრთა სხვადასხვაობას, რაც ყურადღებას იმსახურებს.

კერძოდ, მონაწილეთა უმეტესობა თვლიდა, რომ მთავრობას ჯერ კიდევ არ მიუღწევია საკმარისი პროგრესისთვის დემოკრატიულ რეფორმებში, ზოგიერთი კი იმ აზრსაც ავითარებდა, რომ საქართველო უცხოურ დახმარებებს უპასუხისმგებლოდ მოიხმარს.

მონაწილეთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ მთავრობის ნაბიჯები წინასწარ არის შეთანხმებული ძირითად დასავლელ პარტნიორებთან, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თუმცა, ამას სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევენ მონაწილეები. მთავრობისადმი ნეიტრალურად ან ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების აზრით, მთავრობა 2008 წლის კონფლიქტში შესაძლოა უცხოელი პარტნიორების ჩუმი თანხმობით, ან, უფრო მეტი, მათი მითითებით ჩაერთო. ამგვარი შეხედულებები ეფუძნება გავრცელებულ აზრს, რომ 2008 წლის აგვისტო მოულოდნელი არ ყოფილა, არამედ მოჰყვა ინციდენტებისა და პროვოკაციების გრძელ რიგს, რომლებიც წლების განმავლობაში სულ უფრო იძაბებოდა.

ბევრი მონაწილე დარწმუნებული იყო, რომ პროვოკაციები დაგეგმილი იყო რუსეთის მიერ და დასავლეთს ადანაშაულებდა იმაში, რომ დროულად ვერ შეძლო საფრთხის შეფასება და ადეკვატური დახმარების აღმოჩენა საქართველოსთვის. სხვების აზრით, 2008 წლის აგვისტო იყო ამერიკასა და რუსეთს შორის უფრო ფართო გეოპოლიტიკური დაპირისპირების ერთ-ერთი შედეგი, და რომ საქართველო უბრალოდ შეეწირა ამ ქვეყნებს შორის უთანხმოებებს. განსაკუთრებით გასაოცარი იყო ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, ძირითადად რეგიონებში, რომ მთავრობის მიდგომა კონფლიქტების მოგვარებისადმი ნაკარნახევი იყო საქართველოს ფარგლებს გარედან. ბევრი მონაწილე თვლიდა, რომ მთავრობა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დაპირებებმა (ნატოსა და ევოკავშირის წევრობამ) აცდუნა, რაც მას უცხოური ინტერესების გატარებისკენ უბიძგებს საშინაო ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე. ბევრი მონაწილე ასევე ფიქრობდა, რომ ისეთი პატარა სახელმწიფოების ინტერესები, როგორიც საქართველოა, დიდი საერთაშრისო აქტორების მიზნებს ეწირება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, არის თუ არა ესა თუ ის მოსაზრება დასაბუთებული, ეს მოსაზრებები მოსახლეობის ფართო წრეების აზრსა და წუხილს გამოხატავს, განსაკუთრებით, რეგიონებში. ბევრი ასეთი მოსაზრების არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ საჭიროა მეტი ინფორმაციის უკეთ მიწოდება, რაც ინფორმაციაზე დაფუძნებული დისკუსიების გამართვის საშუალებას მისცემთ. ეს ბალებს შეშფოთებას და ეჭვებს და ხლს უწყობს ქართული საზოგადოების გათიშვას, პირველ ყოვლისა,

კონფლიქტებით დაზარალებულ და კონფლიქტის ზონების სიახლოვეს მცხოვრებ თემებში.

### **ნდობის აღდგენა კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნით**

იმის გამო, რომ კონფლიქტის მოგვარება პოლიტიკურ ჩიხშია შესული, კონფლიქტის ტრანსფორმაციის საჭიროება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. კონფლიქტის ტრანსფორმაცია კონფლიქტის მოგვარების ისეთი მეთოდია, რომელიც ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას ერთად მუშაობის საშუალებას აძლევს პოლიტიკური პოზიციების დათმობის გარეშე, საკუთარი პოზიციებისა და მიზნების წარმოჩენის მიზნითა და ნდობისა და დილაოგის აღდგენის გზით. კონფლიქტის ტრანსფორმაცია, გაყოფილ საზოგადოებებს შორის კონტაქტებისა და ნდობის აღდგენის გზით, მნიშვნელოვან საფუძველს შეუქმნიდა კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

ქვემოთ ანალიზი და რეკომენდაციები ეფუძნება ჩვენი კვლევის მრავალი მონაწილის განსხვავებულ თვალთახედვას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პროცესის რეგიონულ მონაწილეთა იდეები და წუხილები სრულად ემთხვევა კვლევის მონაწილე ექსპერტების მიერ შემოთავაზებულ მიდგომებსა და ანალიზს.

რიგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, გაყოფილ საზოგადოებებს შორის ურთიერთობებსა და თანამშრომლობაში არსებული მნიშვნელოვანი ბარიერების მიუხედავად, მაინც წარმატებით მიმდინარეობს მცირემასშტაბიანი ვაჭრობა. პოლიტიკურ დონეზე პროგრესის არარსებობის გამო ამგვარი ინიციატივები კონფლიქტის მოგვარების გარემოზე ზემოქმედებას ვერ ახდენს. სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური დილაოგის არარსებობის პირობებში უალრესად მნიშვნელოვანია, რომ აფხაზურ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებთან ურთიერთობები სამოქალაქო საზოგადოების ჭრილში წარიმართოს, რათა აღდგეს კონტაქტები და ურთიერთნდობა, ორივე მხარის ინტერესებში შემაჯავლი ურთიერთობების გზით ადგილობრივ თემებს მიეცეთ საშუალება გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები.

საჭიროებები მრავალგვარია, ამგვარი საქმიანობების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ წყლის რესურსების ერთობლივი განკარგვა, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ერთობლივი ბიზნეს პროექტები, უფრო ფართო თანამშრომლობა სხვადასხვა პროფესიების ადამიანებს შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის უფასო და სუბსიდირებული

სამედიცინო მომსახურების სამთავრობო პროგრამა ცხადყოფს, რომ ამგვარი მნიშვნელოვანი საჭიროებები არსებობს და ამგვარი თანამშრომლობა შესაძლებელია.

შესაბამის ხელისუფლებებს შორის დიალოგისა და ურთიერთნდობის არარსებობის პირობებში ბევრი ჩვენი მონაწილე იზიარებს იმ აზრს, რომ, ამგვარი ურთიერთობების ხელის შეწყობის მიზნით, საერთაშორისო საზოგადოებამ უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს. საერთაშორისო (ნეიტრალური) დახმარება მნიშვნელოვანია საკმარისი პოლიტიკური გარემოს შექმნელად, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოება იმუშავებდა ერთობლივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. იმ საქმიანობათა რიცხვის გაზრდა, რომლებშიც ქართველ, აფხაზ და ოს მოქალაქეებს უფრო ხშირი და პირდაპირი კონტაქტები ექნებათ, აუცილებლად გამოიწვევს ნდობის საკმარისად აღდგენას იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ მგრძნობიარე და პოლიტიკურ საკითხებზეც იმუშაოს.

წლების განმავლობაში საერთაშორისო და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები აფინანსებდნენ მრავალგვარ „დიალოგის პროცესებს“, მაგრამ მათი შედეგი უმნიშვნელო აღმოჩნდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობდა პროგრესი პოლიტიკურ დონეზე, არამედ იმიტომაც, რომ არასაკმარისი იყო ინტერესი და ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი თემების მიმართ.

ერთობლივი საქმიანობებისა და მათში ჩართული ადამიანების რაოდენობის გაზრდა გამოიწვევს ურთიერთგაგებასა და ინტერესს შერიგებისა და თანამშრომლობისადმი. ეს კი საბოლოო ჯამში შექმნის საძირკველს, რომელზეც პოლიტიკოსებს შეეძლება მდგრადი სამშვიდობო პროცესის დაშენება.

ამას გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის და უცხოური არასამთავრობო-ებისთვის ადამიანებს შორის ამგვარი „არაპოლიტიკური“ კავშირების ხელშეწყობის მინდობა აფხაზურ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებში მათ შეუქმნიდა „პატიოსანი შუამავლების“ იმიჯს.

თავის მხრივ, ეს გაზრდიდა მათი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეღწევის შანსებს, რითაც მიიღწევა მთავრობის ერთ-ერთი მიზანი - ამ რეგიონების თემატიკის ინტერნაციონალიზაცია. შესაბამისი საერთაშორისო აქტორების ხელმძღვანელობით, უფრო მეტად სტრუქტურირებული მიდგომის შექმნით, გაუმჯობესდებოდა კოორდინაცია

სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობებს შორის, და მცირე ფინანსური წყაროებისათვის შეჯიბრს ეფექტურ თანამშრომლობაში გადაიყვანდა.

ასეთი მიდგომა ეფექტური იქნებოდა ქვედა ფენებიდან ზემოთ ნდობისა და თანამშრომლობის შექმნაში, თუმცა მისი წარმატება მაინც დამოკიდებული იქნება შესაფერისი პოლიტიკური კლიმატის შექმნაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იქნება იმის აღიარება, რომ კონფლიქტის სხვადასხვა მონაწილეებს თავიანთი ინტერესები აქვთ და ზოგ მათგანს ანგარიში უნდა გაენიოს „პოლიტიკური ჩარევის“ თავიდან აცილების მიზნით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთი უმნიშვნელოვანესი მონაწილეა და სპეციფიკური პოზიციები და ინტერესები აქვს და არსებული სტატუს კვო ამ ინტერესებს ემსახურება.

შესაბამისად, ცვლილებების ინიციატივა საქართველოს მთავრობისგან უნდა მოდიოდეს, განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე ეხება რუსეთის დეკლარირებული ინტერესებისთვის ანგარიშის განწევას, რითაც საფუძველი გამოეცლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ბაზების ყოფნის არგუმენტებს. კომპრომისი ამ სიტუაციაში შესაძლოა წარმოუდგენელი იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ მთავრობა შიშობს, რომ ნებისმიერ კომპრომისი ქვეყნის შიგნით მის სისუსტედ წარმოჩინდება. მაგრამ, თუ ცვლილება დიალოგისათვის საჭირო პირობებსა და მოლაპარაკებების შესაძლებლობას შექმნის, ამას მოქალაქეები მხოლოდ მიესალმებიან.

მაგალითად, 2010 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა ცალმხრივი განცხადება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძალის არგამოყენების თაობაზე. მიუხედავად საერთაშორისო არენაზე მიღებული დადებითი გამოხმაურებისა, ამას გავლენა არ მოუხდენია პოლიტიკურ დიალოგზე და გაყოფილ საზოგადოებებს შორის კონტაქტების აღდგენაზე.

ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება უცდიდა რუსეთის საპასუხო განცხადებას ძალის გამოყენებლობის შესახებ. ეს არარეალისტურია (როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანწილად რუსეთის პოზიციის გამო, რომ ის არ არის კონფლიქტის მხარე და იმიტომაც, რომ საერთაშორისო ზენოლა რუსეთზე არასაკმარისია) და ამავე დროს, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, კონტრპროდუქტიულიც (მხარეების მიერ ამგვარი განცხადებების გაკეთებით სტატუს კვო ფორმალურად დაფიქსირდება და უთანხმოებები დაცემენტდება). პოლიტიკურ დონეზე პოზიციათა შეუთავსებლობის გათვალისწინებით მთავრობას შეეძლო პოლიტიკური პროცესების გადადება და ისეთი პირობების შექმნა,

რომელშიც სამოქალაქო საზოგადოება შეძლებდა ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესების წაყვანას.

დაინტერესებული საერთაშორისო მხარეების მიერ მხარდაჭერილი ფუძემდებლური პრინციპების გათვალისწინებით, მხარეებს შეეძლოთ:

- იმის აღიარება, რომ საქართველოში გადაუჭრელი კონფლიქტები საფრთხეს უქმნის ფართო რეგიონულ უსაფრთხოებას;
- კიდევ ერთხელ დადასტურება, რომ მხარს უჭერენ ძალის გამოუყენებლობის პრინციპს;
- იმის აღიარება, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს საკმარისი პოლიტიკური საფუძველი კონფლიქტების გადაჭრისთვის და შეთანხმება იმაზე, რომ პოლიტიკური დიალოგი გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე ყველა მხარე მზად არ იქნება გულახდილი დიალოგისთვის;
- რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე საერთო პასუხისმგებლობის აღება და ამის საფუძველზე შეთანხმება, რათა შეიქმნას ჰუმანიტარული და სხვა საკითხების გადანაცვებისთვის აუცილებელი პირობები, მათ შორის პოლიტიკურ კონტექსტს გარეთ ადამიანის უფლებების, ეკონომიკური თანამშრომლობის და პირადი კავშირების სფეროებში.
- გარკვეულ სფეროებში საქმიანობებისთვის მხარდაჭერა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დასახული პრიორიტეტების მიხედვით. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ჰუმანიტარული საკითხები, რომლებიც განიხილება უენევის საერთაშორისო დისკუსიების სამუშაო ჯგუფში და ღონისძიებები, რომლებიც აისახა ერთობლივ დეკლარაციებში ნდობის აღდგენის შესახებ.

ამგვარ პრინციპებზე შეთანხმება შესაძლებელია ნებისმიერი მხარის პოლიტიკური თუ სხვაგვარი სტატუსის ან ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე მათი პოზიციების ხსენების გარეშე. ასევე შესაძლებელია ამგვარი შეთანხმება შედგეს „საერთაშორისო“ დოკუმენტის შექმნის გარეშე. ამით თითოეული მხარე დაადასტურებდა თავის მისწრაფებას ცალმხრივი ზომების მიღებით და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობისთვის ხელის შეწყობის გზით, მათ შორის შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოების ლიბერალიზაციით.



## რეკომენდაციები

ზემოთ მოყვანილი ანალიზისა და წინადადებების საფუძველზე, რაც გამოხატავს ჩვენი კვლევის მონაწილეთა თართო სპექტრის აზრებსა და შეხედულებებს, შევიშავეთ განსაზღვრული რეკომენდაციები. არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში ეს რეკომენდაციები შეიძლება გახდეს ნდობის აღდგენის პროცესის გზამკვლევი:

- შეიქმნას ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის ხელის შეწყობი გარემო სადავო პოლიტიკური საკითხების გვერდზე გადადებით. კონფლიქტის მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ისეთი პრინციპების ერთობლიობაზე, რომლებიც შექმნიდა სამოქალაქო საზოგადოების მიერ აპოლიტიკური საქმიანობების განხორციელებისთვის შესაფერ გარემოს, რომელიც მიმართული იქნებოდა კონფლიქტით დაზარალებული თემების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ამას უნდა მოჰყვეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, სამართლებრივი და სხვა პირობების გაუმჯობესებისკენ გადადგმული ცალმხრივი ნაბიჯები.
- სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის გამჭვირვალობისა და კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას საკონსულტაციო ორგანო „საზოგადოებრივი საბჭოს“ სახით. ამ ორგანოში შევიდოდნენ კონფლიქტის მონაწილე მხარეების წარმომადგენლები თანათავმჯდომარეობის პრინციპით, რომლებიც განსაზღვრავდნენ განსახორციელებელ პროექტებს. თითოეული მონაწილე ჯგუფი ინფორმაციას მიაწვდიდა შესაბამის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.
- ამ მექანიზმს ხელს შეუწყობდა პარალელური პოლიტიკური მექანიზმი, მაგალითად, „რწმუნებულთა საბჭო“ „გამყოფი ხაზების“ ორივე მხარეს მდებარე სოფლებიდან. „რწმუნებულები“ მოაგვარებდნენ ადგილობრივ დონეზე გადასატარებელ პრობლემებს.
- ეს გააძლიერებდა არსებული უსაფრთხოებისა და პოლიტიკური პროცესების ეფექტურობას, მაგალითად „ინციდენტების პრევენციის მექანიზმსა“ და „უენევის დისკუსიებს“, და უზრუნველყოფდა ოპერატიულად რეაგირებას უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მისაღებ ცალმხრივ ზომებს, რაც შექმნიდა ნდობის აღდგენისთვის სასარგებლო გარემოს და ხელს შეუწყობდა ინდივიდებს შორის კონტაქტების აღდგენას, საქართველოს მთავრობას შეუძლია:

- ადმინისტრაციული ხაზების გასწვრივ მდებარე სოფლების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სახლებისა და სხვა ძირითადი ინფრასტრუქტურის, მათ შორის საავადმყოფოების, რეაბილიტაციითა და სხვა ფართომასშტაბიანი პროექტების იმპლიმენტაციით.
- აფხაზური და ოსური „პასპორტების“ გამოყენების ნებართვის გაცემა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე
- „მოდალობების“ რეჟიმის გაუქმება, რაც ამ ეტაპზე ქართველ, აფხაზ და ოს ბიზნესმენებს შორის ერთობლივი ღონისძიებების გამართვას ხელს უშლის.
- ერთობლივი ბიზნეს საქმიანობების წახალისება ერთობლივი ვიზიტებისა და ტურების გამართვით აფხაზი და ოსი ბიზნესმენებისთვის შესაბამის ადგილებში (მაგალითად, ბაზრობებზე, გამოფენა-გაყიდვებზე, ბიზნეს ცენტრებში და სხვ.)
- ადგილობრივი ბიზნესმენებისა და უცხოელი პარტნიორების დახმარებით ინდუსტრიული ზონების, ბაზრებისა და ეკონომიკური ზონების შექმნა ადმინისტრაციული საზღვრების სიახლოვეს, განსაკუთრებით ერგენტსა და ხურჩაში;

ამ პროცესებში მეტი საერთაშორისო დახმარების მოზიდვისათვის:

- ხელისუფლებას შეუძლია წახალისოს საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები, რომ მათ გახსნან ოფისები ადმინისტრაციულ საზღვრებთან ვაჭრობისა და ეკონომიკური საქმიანობის დახმარების მიზნით.
- ხელისუფლებას შეუძლია ნება დართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს უფრო თავისუფლად შევიდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და განახორციელონ საქმიანობები „საზოგადოებრივ საბჭოსთან“ კონსულტაციების გზით.
- ხელი შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე და შექმნას უფრო ფართო სივრცე საზოგადოებრივი დისკუსიებისა და მსჯელობისათვის. ხელისუფლებას შეუძლია უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოებასთან და მედიასთან სამშვიდობო ინიციატივებისა და საქმიანობების წარმოსაჩინად, გამართოს სატელევიზიო და საჯარო დებატები რელევანტურ საკითხებზე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;

- ამავე დროს, ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას ინფორმაციის დეფიციტის პრობლემა, განსაკუთრებით რეგიონებში, ინფორმაციის უფრო ხშირი მიწოდებისა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხებზე განმარტებების გზით. მოქალაქეებისთვის მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს საქართველოს, არ არის საკმარისი. საჭიროა დამატებითი დეტალების მიწოდება დახმარების პროგრამებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ. ამავე დროს, საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაში პროაქტიური საინფორმაციო კამპანიების მოწყობით საკუთარი როლისა და ინტერესების შესახებ, არა მარტო დედაქალაქში ან დიდ ქალაქებში, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც.